



საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა
და განაკარგულებათა

პრეზუმი

წელიწადი მეცამეტე

№ 3	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1950 წ.
-----	---	---------

F 171
1950

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83
1. ბრძანება № 3978—კაჭრეთის რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ	2
2. ბრძანება № 4152—აჭარის ასსრ ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	17
3. ბრძანება № 107—ასპინძის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ	37

ბ რ ა ნ ე ბ ა № 3978

სამართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 28 ნოემბერი

კაბრეთის რაიონის ზოგადი სკოლის მუშაკების მხარე

აღვნიშნავ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კაბრეთისა და კაკაბეთის საშუალო სკოლებში და ქვ. ყანდაურის რვაწლიან სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისათვის გასულ წლებთან შედარებით უკეთესი პირობებია შექმნილი. სასკოლო შენობები კარგად არის შეკეთებული, სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია დგამ-ავეჯით, მოსწავლეები უკეთესად არიან მომარაგებული სახელმძღვანელოებით, რვეულებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. ყანდაურის რვაწლიანი სკოლის ქიმიკ-ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები კარგად არის მომარაგებული საჭირო რეაქტივებითა და ხელსაწყოებით. კაბინეტებს ემჩნევა მასწავლებელთა მზრუნველი ხელი.

შესწავლილი სკოლების კლასებში, კაბინეტებში, დერეფნებსა და ეზოებში სანიმუშო სისუფთავეა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენაც დამაკმაყოფილებელია.

სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია პედაგოგიური კადრებით. სკოლები უზრუნველყოფილია აგრეთვე სასწავლო პროგრამებით. მუშაობა მიმდინარეობს გეგმიანად, სამინისტროს მიერ დაშვებული მითითებების საფუძველზე. სკოლის დირექტორებს და ცალკეულ მასწავლებლებს აქვთ სამუშაო წლიური კალენდარული და აგრეთვე გაკვეთილის გეგმები.


ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება უკეთ არის დაყენებული ქვ. ყანდაურის რვაწლიან სკოლის უფროს კლასებში (მასწავლებლები პეტრიაშვილი და ახდაროვა). მასწ. პეტრიაშვილის მიერ გაკვეთილი VII კლასში კარგად იქნა ჩატარებული: მას-

წავლელმა გულდასმით შეამოწმა საშინაო დავალება („სინტაქსური წყვილები“); კლასმა საკითხის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა დიდი ყურადღება ექცევა წინადადებების სინტაქსურ-მორფოლოგიურ გარჩევას და მასთან დაკავშირებით მოხერხებულად წარმოებს მოსწავლეების მიერ გავლილი მასალის გამეორება. მოსწავლეებმა შეგნებულად იციან გრამატიკული მასალა. მასწავლებელი მოსწავლეებისაგან მოითხოვს სრულ, გაშლილ პასუხს, ყურადღებას აქცევს ენის სისწორეს. მუშაობაში ჩაბმული ჰყავს მთელი კლასი. ასევე კარგად მუშაობს ამავე სკოლის მასწ. აზდაროვა. მის მოსწავლეებსაც (VI კლასი) საკმაოდ მტკიცე ცოდნა გააჩნიათ.

რუსული ენის სწავლების საქმეში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა კაკაბეთის საშ. სკოლის IV კლ. (მასწ. გ. შაროვი) და V კლასებში (მასწ. თ. ექვთიმიშვილი). ამ კლასების მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი სწორად კითხულობს ტექსტს და დასმულ კითხვებზეც დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა. კარგად არიან აგრეთვე მომზადებული კაჭრეთის საშუალო სკოლის III კლ. მოსწავლეები (მასწ. ელ. საბაშვილი). ისინი დიდი ხალისით მუშაობენ რუსული ენის გაკვეთილზე და მოხდენილად იყენებენ შესწავლილ სიტყვებს ახალი წინადადების შესადგენად. ასეთივე მდგომარეობაა ამ სკოლის V და XI კლასებში (მასწ. ს. გუკასოვი). XI კლასის მოსწავლეები საფუძვლიანად არიან დაუფლებული საგანს და გრამატიკულ კატეგორიებშიც კარგად ერკვევიან.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ სკოლების მრავალ კლასში ძირითად საგნებში მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია, გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ სწავლებაში მაინც მოიპოვება საგრძნობი ნაკლოვანებანი.

დასახელებულ სკოლების ზოგიერთ კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე არ დგას სათანადო სიმაღლეზე, მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურა ძალზე დაბალია (კაჭრეთისა და კაკაბეთის სკოლები), უმცროს კლასებში მოსწავლეებს ეძნელებათ წინადადების დამთავრება ისე, რომ თითოეული სიტყვა ორ-სამჯერ არ გაიმეორონ. ასეთი მოვლენები არაიშვიათია უფროს კლასებშიც; კაკაბეთის სკოლის IX კლასში (მასწ. ექვთიმიშვილი, იგივე სასწავლო ნაწილის გამგე) მოსწავლეთა ზეპირმეტყველება არ არის დამაკმაყოფილებელი, მოსწავლეთა თხრობაში არ ჩანს თანმიმდევრობა, ყველა მოსწავლე თითქოს დაზეპირებულად ლაპარაკობს (მასალა — „ამირან დარეჯანიანის“ გარჩევა), არ ჩანს საკუთარი აზროვნება, შეგნებულობა, მოსწავლენი ერთ და იმავე სიტყ-



ვას რამდენჯერმე იმეორებენ, უშვებენ ისეთ ენობრივ შეცდომებს, რომლებიც აზრს ბუნდოვანს ხდის; მაგ.: „ამირან დარეჯანიანის“ ავტორი მხატვრულობით არ სარგებლობს, „ამირან-დარეჯანიანის“ შემდეგ ისევ შექმნეს ხალხური ამირანი“, „მთავარი გმირია ამირან დარეჯანიანი“, „რამდენიმე მწერლებს“ და სხვ. აღნიშნულ შეცდომებს მასწავლებელი არ ასწორებს. დაბალია აგრეთვე ამავე სკოლის V კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე (იგივე მასწავლებელი). მოსწავლეებმა „არსენას ლექსის“ შინაარსი მტკიცედ არ იციან. სრულიად არ ექცევა ყურადღება ლექსის გამომეტყველებით წაკითხვას. მასწავლებელი არ აწარმოებს სალექსიკონო მუშაობას, რის შედეგად მოსწავლეებმა არ იციან ლექსებში ხმარებული ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა. ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ განმარტა რას ნიშნავს გამოთქმა „ზღვის არწივი“, „პირატები“ და სხვა სიტყვები, რომლებიც შესწავლილ ლექსებში გვხვდება. მასწავლებელი ექვთიმისევილი არ არის დაუფლებული სწავლების მეთოდებს, უმთავრესად სარგებლობს ლექციური მეთოდით. „არსენას ლექსის“ შინაარსის გამოკითხვის შემდეგ თვითონ უამბო მოსწავლეებს არსენას თავგადასავალი; თავგადასავლის თხრობაში ჩაურთო არსენას დახასიათების ელემენტები და მაშინდელი საზოგადოებრივი მდგომარეობის ანალიზი. 18 წუთის განმავლობაში მოსწავლეები უსმენდნენ მასწავლებელს, მას არ უცდია მოსწავლეები ჩაება საუბარში.

კაპრეთის საშუალო სკოლის III¹ კლასის მასწავლებელი მ. ბეზარაშვილი არ ემზადება გაკვეთილისათვის, ლიტერატურულ მასალას ვერ იყენებს მოსწავლეთა მეტყველების გასავეითარებლად, წარმოადგენა არ აქვს როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის მასალა ახსნითი კითხვისათვის. თვითონ უშვებს ენობრივი და ფაქტიური ხასიათის შეცდომებს. მოთხ. „ორაგულის მოგზაურობა“, რომელსაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს და საუკეთესო მასალას წარმოადგენს თხრობისა და მეტყველების განვითარებისათვის, სრულიად ზერელედ იქნა დამუშავებული მის მიერ კლასში. ზერელედ იქნა ახსნილი ახალი მასალა „ვინ გამოიგონა ორთქლის მანქანა“. მასწავლებელი მთელი გაკვეთილის მანძილზე არასწორად გამოთქვამდა პოლზუნოვის გვარს—ამბობდა და კითხულობდა „პოლზოვი“. თხრობაში უშვებდა უხეშ ენობრივ შეცდომებს („კოკისპირულმა წვიმამ ისინი წაიყვანა და ისინი მოგზაურობდნენ“, „ბევრი ამხანაგები“, „პირველად მან მუშაობდა“, „მეტოლორგიული“ და სხვ.). მას გაკვეთილის ლექსიკური მუშაობა არ

ჩაუტარებია, არ აუხსნია მოსწავლეთათვის გაუგებარი სიტყვები: „ადმინისტრაცია“, „მეტალურგია“ და სხვ. ამ კლასის მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა მეტად დაბალია. მოსწავლეები ნ. ს., ნ. რ. და სხვ. კითხულობენ ჩათვლით, დამარცვლით.

ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ჩეკურიშვილი ქართული ენის გრამატიკის სწავლებისას (V¹ და VI² კლასები) მეტ ყურადღებას აქცევს გრამატიკული კატეგორიების ლოგიკურ განმარტებებს, ვიდრე ენის ბუნების ნათელყოფას და პრაქტიკული ხასიათის ვარჯიშს სწორმეტყველების გამოსამუშავებლად.

გამოკვლეულ სკოლებში სრულიად არადაამაკმაყოფილებლად ტარდება წერითი სამუშაოები. არ ზრუნავენ წერითი მუშაობის ხარისხზე. არ ხდება წერისათვის გულდასმით მზადება, ნაწერები ზერელედ სწორდება მასწავლებელთა მიერ, მოსწავლეები დაშვებულ შეცდომებს, როგორც წესი, არ ასწორებენ, ხელი უფარგისია.

მასწავლებელი ბეზარაშვილი მოსწავლეთა ნამუშევრებს დაუდევრად ასწორებს. III კლასის მოსწ. ე. ს. 7 სექტემბრის ნაწერში (4 სტრიქონი) მასწავლებლის მიერ შეუმჩნეველია ასეთი შეცდომები: „მეწია“ (დაეწიას ნაცვლად), „გადარჩინა“ (გადაარჩინას ნაცვლად), არ არის შემჩნეული პუნქტუაციური ხასიათის შეცდომები. იმავე მოსწავლის 12 სექტემბრის ნაწერში (4 სტრიქონის მოცულობით) შეუმჩნეველია ასეთი უხეში შეცდომები: „ერთაერთი“, „ქყავდა“. 13 სექტემბრის ნაწერში 8 შეცდომაა შეუმჩნეველი. ნაწერი კი შეფასებულია ნიშნით „4“. 28 სექტემბრის ნაწერში (7 სტრიქონის მოცულობით) შეუმჩნეველია შვიდი შეცდომა, ნაწერი კი შეფასებულია ნიშნით „5“.

არადაამაკმაყოფილებლად არის დაყენებული წერითი მუშაობა კაპრეთის საშუალო სკოლის უფროს კლასებშიაც. XI კლასის მოსწავლეთა ნაწერები თემაზე: „ალ. ყაზბეგის შემოქმედება (რომანების „ელგუჯა“ და „მამის მკვლელის“ მიხედვით)“ ამტკიცებს, რომ მოსწავლეებს არ აქვთ ფაქტიური მასალის ღრმა ცოდნა, კომპოზიციის გრძნობა. მოსწავლეები მართალია გადმოგვცემენ ცალკე ეპიზოდების შინაარსს, მაგრამ ვერ ახერხებენ განზოგადებას და დასკვნების გაკეთებას. წერითი ნამუშევრები ზერელედ არის გასწორებული (მასწ. თ. ლაზაშვილი), მაგ. მოსწ. ლ-ს ნაწერში შეუმჩნეველია ასეთი შეცდომები: „ყაზბეგმა რაინდული ვამბედაობით ახადა ფარდა შენიღბული აწმყოს და მონარქიას აჩვენა, თუ რა დიდი ტკივილი იყო დამარხული დაბეჩავებულ

ხალხთა გულში“. გამოდის, რომ ყაზბეგი ზრუნავდა იმისათვის, რომ მონარქიას დაენახა ხალხის ტკივილები; ამავე მოსწავლის ნაწერში გაუსწორებელია სხვა შეცდომებიც, „გირგოლა“ შურისძიების გზას დაადგა, მუდამ თან სდევდათ ნუნუსა და იაგოს“ და სხვ. შემასმენელის შეთანხმება რიცხვში არა ქვემდებარესთან, არამედ დამატებასთან, მოსწავლეების ტიპიურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. ასე, მაგ. იმავე კლასის მეორე მოსწავლე, ვ. გ. წერს: „გირგოლამ ახალგაზრდებს კობას, იაგოს და სხვებს სიცოცხლე გაუმწარათ“, მასწავლებელი ამ შეცდომასაც შეუმჩნეველად ტოვებს. მასწ. გ. ჯ. ნაწერში გაუსწორებელია ასეთი გამოთქმები: „ალ. ყაზბეგი „ელგუჯაში“ „მამის მკვლელში“ მთლიანად მთიელთა ცხოვრების არეზე იწლება, რომელშიც ასახულია მთიელთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ალ. ყაზბეგი დიდი ოსტატობით და წარმატად ასრულებს ამ ორი კულტურისა და ერთმანეთის მოწინააღმდეგე წყობილებას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას“. ასეთი ენით არის დაწერილი თხზულებათა დიდი ნაწილი.

ძალზე დაბალია აგრეთვე მოსწავლეთა წერითი მეტყველება VI კლასში (იგივე მასწავლებელი). მოსწავლეებს უძნელდებათ შესწავლილი ნაწარმოების ცალკე ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა („თორნიკეს მოციქულობა“, „ლხინი კურაპალატის სასახლეში“), უშვებენ ორთოგრაფიულ შეცდომებს („მოიადმყოფეს თავი, „ქვეშერდებიც აუჯანყდნენ“ და სხვ.), ხელი ცუდია, მოსწავლეები შეცდომებს არ ასწორებენ.

დასახელებული სკოლების ზოგიერთ კლასში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა. კაჭრეთის საშუალო სკოლის VII, IX და X კლასების მოსწავლეთა სიტყვების მარაგი მეტად ღარიბია, მოსწავლეები ვერ ახერხებენ მარტივი წინადადების გადმოთარგმნასაც კი (მასწ. ნ. ხატიაშვილი). ასეთივე მდგომარეობაა კაკაბეთის VII, XI (მასწ. თ. ციკურიძე) და VIII კლასებში (მასწ. ტაბატაძე). ამ კლასების მოსწავლეები სრულებით ვერ ერკვევიან გრამატიკულ ფორმებში, ვერ არჩევენ წინადადების წევრებს; მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა უვარგისია. კაკაბეთის საშ. სკოლის III კლასების რუსული ენის მასწ. ა. გოგიაშვილი და კაჭრეთის საშ. სკოლის IV კლ. მასწ. ა. ვარდიაშვილი (რომელიც სხვა საგნებთან ერთად რუსულ ენასაც ასწავლის ამ კლასს), ვერ აძლევენ მოსწავლეებს საჭირო ცოდნას, რადგან თვითვე სუსტად არიან დაუფლებული საგანს.

საკონტროლო წერითი სამუშაოების ნორმები ყველა კლასში შესრულებულია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში წერითი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს (მასწ. ტაბატაძე). მასწავლებლები რვეულების გასწორებისას უყურადღებოდ სტოვებენ შეცდომების საგრძნობ ნაწილს და დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებინებენ მოსწავლეებს.

კაკაბეთის საშუალო სკოლის არც ერთ კლასში მოსწავლეებს არ აქვთ საშინაო რვეულები. კაჭრეთის საშუალო სკოლაში საშინაო რვეულები აქვთ. მაგრამ ისინი სავსეა უხეში შეცდომებით; ეს შეცდომები არ სწორდება მასწავლებლის მიერ. მოსწავლეები იზებირებენ შეცდომებით სავსე ტექსტს და ამითაც აიხსნება მათი დამახინჯებული მეტყველება.

კაჭრეთის საშუალო სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ისტორიაში დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებს (მასწავლებლები ა. თევდორაშვილი, იგივე სკოლის დირექტორი და ქ. ცერცვაძე, სასწავლო ნაწილის გამგე). მოსწავლეებმა იციან ძირითადი ისტორიული ფაქტები და მოვლენები. ნაწილობრივ ახერხებენ მათ გარჩევას, შეფასებას, განზოგადებას. კაჭრეთის სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები (მასწ. ალ. თევდორაშვილი), საკმაო თანმიმდევრობით აღწერენ და ახასიათებენ რუსეთის სამხედრო-ფეოდალურ იმპერიალიზმს, სამოქალაქო ომს, სოციალისტურ მშენებლობას, კარგად აქვთ გააზრებული სამოქალაქო ომის და ინტერვენციის მიზეზები, ლენინის აპრილის თეზისები, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მიზეზები და სხვ. ამვე სკოლის მე-10 კლასსაც ეტყობა ერთგვარი წარმატება საქართველოს ისტორიაში.

მასწავლებელ თევდორაშვილის გაკვეთილებს ჯერ კიდევ ახლავს ზოგიერთი ნაკლი. სწორედ ამით უნდა აიხსნას საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები მოსწავლეთა ცოდნაში. ზოგჯერ მასწავლებელი ფაქტიურ შეცდომებსაც უშვებს. მასწავლებელი ძალიან დიდ დროს ანდომებს ძველი მასალის გამოკითხვას (32 წ.) მე-10 კლ. და ამიტომ ვერ ასწრებს ახალი მასალის საფუძვლიანად გადაცემას (8 წ.). კაჭრეთის საშუალო სკოლის მე-6 კლასში (მასწ. ქ. ცერცვაძე) მოსწავლეებმა იციან საბერძნეთის ისტორიის ძირითადი ფაქტები, ქრონოლოგია, დამაკმაყოფილებლად უჩვენებენ ისტორიულ რუკაზე მნიშვნელოვან ადგილებს, საკმაოდ განვითარებული აქვთ ისტორიული მასალის თხრობის უნა-

რი, მაგრამ მათ უჭირთ მოვლენაა მნიშვნელობის გარკვევა, სათანადო დასკვნების გაკეთება.

მასწ. ქ. ცერცვაძეს აქვს საკმაო ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ მის მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს ზოგიერთი მეთოდური ნაკლი.

ისტორიის ძირითადი საპროგრამო მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ კაკაბეთის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებიც (მასწ. იგივე სკოლის დირექტორი მ. გაფრინდაშვილი), არადამაკმაყოფილებელია კაკაბეთის საშუალო სკოლის მე-6, 10 და 11 კლასების მოსწავლეთა ცოდნა (მასწ. შ. ბურჭულაძე). მე-6 კლასის მოსწავლეები გაკვეთილის მასალას ჰყევიან ზეპირად, მისი მნიშვნელობა არ ესმით, არ იციან, თუ ვინ არიან პლებეები და პატრიცები; მე-10 კლასის მოსწავლეები ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან საბაბსა და მიზეზს, არ იციან ქართველთა მეზობელი ხალხები და სახელმწიფოები ელინისტურ და უფრო ადრინდელ ხანაში, ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ დაასახელა საქართველოში მონღოლთა შემოსევის საუკუნეც კი, ასახელებენ მე-5, 6, 7 საუკუნეებს, არ იციან საიდან მოვიდნენ მონღოლები, მმართველობის როგორი წესი შემოიღეს მათ საქართველოში; მათი აზრით, მონღოლები სრულებით არ ყოფილან რუსეთში. ასევე სუსტად იციან მოსწავლეებმა საბჭოთა კავშირის ისტორიაც. მათ ვერ გაარკვიეს, თუ რატომ იყო მეფის რუსეთი ანტანტის შემადგენლობაში, როგორ დამოკიდებულებაში იყო მეფის რუსეთი დასავლეთის დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან. სტოლიპინის აგრარული რეფორმის შესახებ მოსწავლეები აცხადებენ, რომ სტოლიპინს უნდოდა მემამულეებისათვის ჩამოერთმია მიწები და დაერიგებინა გლეხებისათვის.

ახალი მასალა მე-7 კლასში—„ბრძოლა პატრიცებსა და პლებეებს შორის“ მასწავლებელმა ძალზე უფერულად გადასცა, ვერ გააშუქა მოსწავლეთათვის გასაგებად სახალხო ტრიბუნატის შექმნა, ტრიბუნების ფუნქციები, 12 ტაბულის კანონები და მათი მნიშვნელობა, ლიცინიუსის და სექსტუსის კანონები, არ გაარკვია რომში დიქტატორის დანიშვნის პირობები, დიქტატორის ფუნქციის თავისებურება. არაფერი უთქვამს პლებეების საბოლოო გამარჯვებაზე და ნობილიტეტის წარმოშობაზე; დაუშვა ფაქტიური შეცდომაც. ტრიბუნატის დაწესების თარიღად 449 წელი უჩვენა, ლიცინიუსის და სექსტუსის კანონების გატარების თარიღად კი 436 წელი. მასწავლებელი მონებს მესამე წოდებას უწოდებდა.

ასევე სუსტი იყო მასწ. ბურჟუაზიის გაკვეთილები მე-10 და მე-11 კლასებშიც.

კაპრეთის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე მათემატიკაში ვერ უზასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს. დამწყები მასწავლებელი, ვ. ჯაფოშვილი ფაქტიური მასალის კარგ ცოდნას ამტკიცებს და გაკვეთილზეც მომზადებული შედის, მაგრამ კლასი ვერ იჩენს გავლილი მასალის საფუძვლიან ცოდნას განსაკუთრებით პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას, როცა საჭიროა წინა წლებში შეძენილი ცოდნა-ჩვევების გამოყენება.

მეტად სუსტია მოსწავლეთა მომზადება მათემატიკაში კაკაბეთის საშუალო სკოლის მე-11 კლასში (მასწ. ი. პავლიაშვილი, იგივე სასწ. ნაწილის გამგე). ამ კლასის მოსწავლეებმა ვერც ერთი თეორიული საკითხის დამტკიცება ვერ შესძლეს მიმდინარე წელს გავლილი მასალიდან აღგებრაში, გარდა ერთად-ერთი მოსწავლე პ-სა, რომელმაც წყობათა რიცხვის ფორმულა მხოლოდ მასწავლებლის მიმყვანი კითხვების დახმარებით დაამტკიცა. ექვსი მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა შესძლო $x^2 + x - 2 = 0$ განტოლების ამოხსნა. ამ მრავალრიცხოვან კლასში ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო $Ax^2 = 42$ და $Cx^x - 2 = 10$ განტოლებების ამოხსნა.

იჩვენება, რომ მასწავლებელ პავლიაშვილს არ უწარმოებია ვარჯიში საჭირო სიძნელის ამოცანებზე ამ განყოფილებიდან. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს მე-11 კლასში ჩატარებული საკონტროლო წერითი მუშაობა. შეერთებათა და თეორიიდან საკონტროლო წერა ჩატარებულია არა ამოცანაზე, არამედ უმარტივეს მაგალითებზე (მაგ. „გამოვიანგარიშოთ A_8^4 ; C_7^6 ; P_5 . შევამოწმოთ შემდეგი ტოლობანი $C_9^5 = C_9^4$; $C_7^5 + C_7^4 = C_7^6$ “). ასევე დაბალია ამ კლასში მოსწავლეთა მომზადება გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიაში. მასწ. პავლიაშვილი, როგორც წესი, გაკვეთილის გეგმას არ ადგენს.

დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს აგრეთვე მათემატიკაში კაკაბეთის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმაც (მასწ. ვ. საგინაშვილი). ისინი აღგებრის გაკვეთილზე ვერ იძლეოდნენ გააზრებულ პასუხებს გავლილი მასალის ირგვლივ. მასწ. საგინაშვილი ვერ არის დაუფლებული საგანს და მისი სწავლების მეთოდებს: ერთუცნობიან პირველი ხარისხის განტოლებას ის ასწავლის არა არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებების გამოყენებით, არამედ სისტემატური სახით ისე, როგორც ეს სავალდებულოა მე-8 კლა-

სისათვის; არასწორად ახსნა აგრეთვე მან დადებითი და უარყოფითი რიცხვები რიცხვულ ლერძზე და სხვ.

ყანდაურის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნალეკრიშვილი თითქოს დაუფლებულია საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, მაგრამ მოსწავლეთა ცოდნა ძალზე დაბალია. ასე, მაგ. ამ კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო $\frac{a^2+b^2}{ab}$ გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის გამოანგარიშება

იმ შემთხვევისათვის, როცა $a=2$ და $b=4$. კიდევ უფრო მოუმზადებელი არიან ამ სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები (მასწ. ვ. თვალავაძე, განათლებით ისტორიკოსი). ისინი ახერხებენ წესის ჩამოყალიბებას რიცხვების 3-ზე გაყოფადობის შესახებ, მაგრამ ეს ცოდნა იმდენად ფორმალურია, რომ არ შეუძლიათ მისი გამოყენება საგალითის გაკეთებისას, კიდევ მეტი, ციფრებსა და რიცხვს, ვერ ანსხვავებენ, არასწორად განმარტავენ რიცხვების 15-ზე და 50-ზე გაყოფადობას.

მოსწავლეების მიერ გავლილი მასალის შეგნებულად ათვისების საქმეში ერთგვარი წარმატება აქვს მოპოვებული კაქრეთის საშუალო სკოლის ფიზიკის დანწყებ მასწ. ვ. ჯაფოშვილს, ამ სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იციან ჯოულ-ლენცის კანონი, მათ შეგნებულად იციან გამტარში ელექტრული ენერგიის სითბურ ენერგიად გარდაქმნის მიზეზი, ენერგიის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონის თვალსაზრისით; ახერხებენ შესწავლილი კანონების მომარჯვებას პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს და სხვ. ამავე დროს მასწავლებელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს გავლილი მასალის გამეორებას. კიდევ უფრო ცუდად არის დაყენებული ახლად გავლილი მასალის წინაწლებში გავლილ მასალასთან დაკვივრების საქმე. მასწ. ჯაფოშვილმა დამაჯერებლად ახსნა თერმოელექტრობა და მისი გამოყენება, მაგრამ ეს მასალა, თავის მოცულობით, მეტად მცირეა, ამ გაკვეთილზე მან ჩაატარა სადემონსტრაციო ცდა დენის სითბური მოქმედების შესახებ, ეს მაშინ, როცა საკითხი ახსნილი იყო წინა გაკვეთილზე.

მეტად დაბალია ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეთა მომზადება ფიზიკაში (მასწ. მ. გოგილაშვილი). მართალია, მოსწავლეთა ერთი ნაწილი ახერხებს ზოგ საკითხზე თხრობას, მაგრამ ნაამბობი არ აქვთ გააზრებული, ამავე საკითხების გარშემო დას-

მულ კითხვებზე ვერ იძლევიან პასუხს. მათი ცოდნა ზეპირსიტყვიერია, მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სივრცის, ფართობის და მოცულობის გაზომვაზე, მათ საზომ ერთეულებზე, მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის თანათარღობა სხვადასხვა ერთეულებს შორის: მათ ჰგონიათ, რომ კვადრატულ მეტრში 10 კვადრატული დეციმეტრია, რომ ამდენივე კუბიკური დეციმეტრია კუბიკურ მეტრში და სხვა. მასწ. გოგილაშვილი უყურადღებოდ ეპყრობა სადემონსტრაციო ექსპერიმენტს, იგი მოუმზადებელი შედის გაკვეთილზე. მოსმენილ გაკვეთილზე მან განიზრახა წიგნის „წნევის“ გაანგარიშება, მაგრამ ცდა ჩაიშალა, რადგან კლასის არც ერთ მოსწავლეს სამასშტაბო შიშა არ აღმოაჩნდა. მასწ. მ. გოგილაშვილი სუსტად მუშაობს თავისთავზე, იგი არ არის დაუფლებული სადემონსტრაციო ექსპერიმენტის წარმოებას და ამოცანის ამოხსნის ტექნიკას. მე-7 კლასის არც ერთ მოსწავლეს საშინაო რვეული არ აქვს.

დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ფიზიკაში კაკაბეთის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ი. პავლიაშვილი). მაგ. ისინი ვერ ახერხებენ ქანქარის ფორმულით სარგებლობას, მეტიც, მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ვერ ახერხებს ამ ფორმულის დაფაზე დაწერასაც კი. მხოლოდ ერთეულმა მოსწავლეებმა იციან, რომ „რხევის პერიოდი უკუპროპორციულია კვადრატული ფესვისა სიმძიმის ძალის აჩქარებიდან“, მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ ამ კანონის გამოყენებას საათის სვლის რეგულაციის საქმეში. კიდევ უფრო ცუდად ფლობენ ისინი წინა პერიოდში გავლილ მასალას. ამ კლასის მოსწავლეთა ჩამორჩენილობის ძირითადი მიზეზი მასწავლებლის სუსტი მუშაობაა. იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ ატარებს სადემონსტრაციო ექსპერიმენტს, სრულიად უგულვებელყოფს გავლილი მასალის გამეორებას, არ იყენებს აქტიურ მეთოდებს საგნის სწავლების უკეთ დაყენებისათვის და ყურადღებას არ უთმობს შესწავლილი მასალის გამოყენებას პრაქტიკული საკითხების გადაჭრის საქმეში. მაგ. ახალი მასალა, დრეკადი სხეულის რხევა და ტალღური მოძრაობა მან ლექციური მეთოდით ახსნა, ვერ დაიყვანა მოსწავლეებამდე, ამ მასალის გარშემო დასმულ კითხვებზე მოსწავლეები ვერ პასუხობდნენ.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამავე სკოლის მე-7 (მასწ. მ. აივაზოვი) და მე-8 (მასწ. ვ. საგინაშვილი) კლასებში. მე-7 კლასის მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი ახერხებს დასმულ

კითხვებზე პასუხის გაცემას, თუმცა ხშირად მათი ცოდნა ფორმალურია: ისინი $d = \frac{P}{V}$ ფორმულით სარგებლობენ მექანიკურად.

აივანოვი არ ატარებს ექსპერიმენტს საკლასო მუშაობისას და არც საშინაო დავალების სახით აძლევს ასეთ სამუშაოებს მოსწავლეებს.

ფიზიკაში მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე გამოვლენდა ყანდაურის მ-წლიან სკოლაშიც (მასწ. ა. ნალეკრიშვილი). მოსწავლეები თითქოს დამაკმაყოფილებლად მოუთხოვრებდნენ „წნევის“ შესახებ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შესძლო პრაქტიკულად განესაზღვრა წნევა, რომელსაც აგური აწარმოებს ამა თუ იმ წახნაგზე დაყრდნობისას, ვერ მოახერხეს აგურის ზომების სწორად განსაზღვრა, ეს მაშინ, როცა სახელმძღვანელოში წნევა დაანგარიშებულია სწორედ აგურის მაგალითზე. კითხვებზე მოსწავლეები იძლევიან პასუხს წიგნის ენით და არ შეუძლიათ შესწავლილი კანონების გამოყენება პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას.

ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა ბიოლოგიის სწავლებაში. მართალია, ერთგვარი წარმატებები აქვთ მასწავლებლებს კბუთხუხს (კაჭრეთის საშუალო სკოლა) და ლ. გოგოლაშვილს (ყანდაურის რვაწლიანი სკოლა), მაგრამ ამ სკოლების მოსწავლეების საკმაოდ დიდმა ნაწილმა გავლილი მასალა არადამაკმაყოფილებლად იცის. კაჭრეთის საშუალო სკოლის V² კლასის 43 მოსწავლიდან მხოლოდ შვიდმა გამოთქვა სურვილი გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლობიოს თესლის ლებნებს. მოსწავლე ა-ი თესლის აგებულებას უჯრედის აგებულებაში ურევს და ენდოსპერმის ნაცვლად პროტოპლაზმას ასახელებს. მოსწავლე ს-იმ მუხუდო და მზისუმზირა ერთლებნიან მცენარეებს მიაკუთვნა. ყანდაურის რვაწლიანი სკოლის V კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ამეღავენებს გავლილი მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას (მასწ. გოგოლაშვილი). მე-6 კლასში თამბაქოს კულტურის შესახებ მასწავლებელმა მოსწავლეებს საკმაო ცნობები მიაწოდა, მაგრამ ვერ დაიცვა ზომიერება. მაგალითად, უფრო ვრცლად იყო გაშუქებული თამბაქოს კულტურის წარმოშობისა და გავრცელების საკითხი, ვიდრე ეს მოეთხოვება ამ კლასის მოსწავლეებს, გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული სხვა კულტურების დამუშავება გაკვეთილზე არ მოესწრო.

მასწავლებელმა თ. გოგიშვილმა (კაკაბეთის საშუალო სკოლა) მე-6 კლასში გაკვეთილის ახსნა დაიწყო ჯვაროსანთა და მცენარე-

თა სხვა ოჯახების განხილვით. პროგრამის მიხედვით კი ამ კლასის მოსწავლეებს ამ საფეხურზე სისტემატური ერთეულების ცნება არ ეძლევა და ბოტანიკის კურსის შესწავლა კულტურული მცენარეების შესწავლით იწყება. მე-6 კლასის ბოტანიკის კურსის საკითხის—ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რიცხვისათვის—დამუშავების დროს მასწავლებელი განისაზღვრა იმ მასალით, რომელიც მე-5 კლასის ბოტანიკის ძველ სახელმძღვანელოშია მოცემული. ამ სკოლის VI¹ კლასის მოსწავლე ო-ს წარმოდგენა არ აქვს ერთწლიან, ორწლიან და შრავალწლიან მცენარეებზე, არ იცის თუ რა არის მარტივი და რთული ფოთოლი, ვერ მოძებნა ტაბულაზე ლობიოს ყვავილი და ნაყოფი, ვერ დაასახელა ყვავილის ნაწილები. მოსწავლეებმა ვერ განმარტეს პარკოსნების ფესვების კოჭრებისა და იქ მყოფი ბაქტერიების როლი ნიადაგის აზოტით გამდიდრების საქმეში. მოსწ. 7-ის წარმოდგენით სიმინდს ყვავილი არ აქვს, მოსწავლე მ-მ განაცხადა, რომ საქართველოში ბამბა არ ითესებაო.

სკოლებში საბუნებისმეტყველო წრეების მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. წრეების გეგმით უმთავრესად გათვალისწინებულია თეორიული საკითხების განხილვა, მოხსენებები და რეფერატები, პრაქტიკული საკითხების დამუშავება, ცდები და დაკვირვებანი სრულიად უგულვებელყოფილია. ყურადღება არ ექცევა პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიების ჩატარებას.

კაქრეთის რაიონის სკოლების მოსწავლეთა მომზადება ქიმიის სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. კაქრეთის სკოლის X კლასის მოსწავლეებს გაუძნელდათ ელემენტების ვალენტობის გარკვევა ნაერთის ფორმულის მიხედვით (ფოსფორის ვალენტობა ფოსფორმეჯავაში). მარტივი ამოცანის ამოხსნა (რამდენი გრამი ფოსფორის ხუთჟანგი გამოიყოფა 400 გ ფოსფორის დაწვისას, რამდენი % ფოსფორია ფოსფორმეჯავაში) ვერ შესძლეს დამხმარე კითხვების დასმის გარეშე. შედარებით უკეთესი ცოდნა აქვთ XI კლასის მოსწავლეებს.

მეტად დაბალი მომზადება გამოიჩინეს ქიმიის კაქაბეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (გასულ წლებში ქიმიას ასწავლიდა შრ. ქარსაულიძე), IX, X და XI კლასების მოსწავლეები ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევიან. IX კლასის მოსწავლეებმა ვერ მოახერხეს ცნება „მეჯავის“ განმარტება, მეჯავა მათ წარმოუდგენიათ, როგორც მეტალოიდების ჟანგეულებისა და წყლის ნაერთი, ვერ განმარტეს მეჯავას ფუძიანობა, არასწორად აქვთ

ათვისებული ფუძეების მიღების საშუალებანი, ვერ მოახერხეს კა-
ლიუმის ქანგის ფორმულის შედგენა. X კლასის მოსწავლეთა ცოდ-
ნა მეტად დაბალია, დასმულ კითხვებზე, საპროგრამო მასალის
გარეშე, მხოლოდ 2—3 მოსწავლე ახერხებს პასუხის გაცემას. XI
კლასის მოსწავლეები ძალიან ცუდად ერკვევიან გასული წლის
მასალაში (არაორგანული ქიმიის კურსი), შედარებით უკეთესად
იციან ორგანული ქიმიის კურსი, რაც იმით აიხსნება, რომ ორგა-
ნული ქიმიის შესწავლა წელს დაიწყო ამ კლასში.

კაკაბეთის სკოლის ქიმიის მასწავლებელი ნად. კვეზერელი
გაკვეთილზე დროს რაციონალურად ვერ იყენებს. ის ბევრ დროს
ჰკარგავს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: „ვინ იცის გაკვეთილი?“
„სტევი, იცი თუ არა გაკვეთილი“ და სხვ.

გეოგრაფიის სწავლება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებუ-
ლი კაჭრეთის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. კოქლამაზა-
შვილი). ამ სკოლის VIII კლასის მოსწავლეები დამაკმაყოფილებ-
ლად გადმოსცემენ გაკვეთილის შინაარსს, იციან გავლილი მასა-
ლაც: ახერხებენ ზღვების დახასიათებას, იციან ზღვების სატრან-
სპორტო და სარეწი მნიშვნელობა, სწორად ასახელებენ და უჩვენ-
ებენ რუკაზე სსრ კავშირის რელიეფის ძირითად ფორმებს, იციან
სასარგებლო წიაღისეულთა მთავარი საბადოები, მათი გეოგრა-
ფიული განლაგება, მდინარეთა თავისებურება და მათი სამეურნეო
მნიშვნელობა. დამაკმაყოფილებლად იციან გავლილი მასალის ძი-
რითადი ნაწილი ამ სკოლის V², VI¹, VI² კლასის მოსწავლეებმაც.
მასწავლებელი დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანსა და მისი სწავ-
ლების მეთოდს, გულმოდგინედ ემზადება გაკვეთილისათვის.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გეოგრაფიის
სწავლება კაკაბეთის საშუალო სკოლის მეხუთე კლასებში (მასწავ-
ლებელი მ. გაფრინდაშვილი, იგივე სკოლის დირექტორი). ამ კლა-
სის მოსწავლეებს არა აქვთ გაგებული მასშტაბის ცნება, ვერ გან-
მარტავენ, თუ რას ეწოდება დაბლობი, ვაკე, ბორცვი, მთა, არ
იციან ჰორიზონტის მხარეების გამორკვევის ხერხები და სხვ. მა-
სწავლებელი არ სთხოვს მოსწავლეებს გაკვეთილის შინაარსის გად-
მოცემას მთლიანი თხრობის საშუალებით, კმაყოფილდება მხო-
ლოდ ფრონტალური კითხვების დასმით.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გეოგრაფიის
სწავლება ქვ. ყანდაურის რვაწლიანი სკოლის მეხუთე კლასებში
(მასწ. ლ. გულიაშვილი, იგივე სკოლის დირექტორი). ამ კლასის
(მოსწავლეებმა გავლილი მასალის სრული უცოდინარობა გამოი-

ჩინეს. მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისათვის. მის მიერ V² კლასში ჩატარებული გაკვეთილი თემაზე — „ბორცვები და მთები“ მოსწავლეთათვის გასაგებად არ იყო ახსნილი, სათანადოდ არ იყო გამოყენებული თვალსაჩინოება და ამიტომ გასაგებად ვერ აუხსნა კლასს, თუ რას ეწოდება მთის შეფარდებითი და აბსოლუტური სიმაღლე.

გერმანული ენის სწავლების მდგომარეობა კაქრეთის საშუალო სკოლაში დამაკმაყოფილებელია (მასწ. თ. ხატიაშვილი). VII, VIII კლ. მოსწავლეების საგრძნობი ნაწილი ტექსტს გერმანულად კითხულობს, თარგმნის მას და ზეპირ საუბარსაც ახერხებს, მაგრამ X კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე მეტად დაბალია. კაკაბეთის საშუალო სკოლაში (მასწ. მ. შახპარუნოვა) V, VIII და X კლასების მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას კითხვა და თარგმნა უძნელდება, სიტყვების მცირე მარაგი აქვს და მომზადების დაბალ დონეს ამტკავნებს. განსაკუთრებით ჩამორჩენილია X კლასი.

ყანდაურის 8-წლიან სკოლაში (მასწ. ზ. შენგელიძე) მოსწავლეთა მომზადება გერმანულ ენაში ძალზე დაბალია. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ თვით მასწავლებელმა არ იცის გერმანული ენა, ტექსტის წაკითხვისას ის თვითონ უშვებს უხეშ შეცდომებს; მაგ. კითხულობს: die Freude—დიე ფრეუდე, Deutsch—დეუტ შენ და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. კაკაბეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ი. პავლიაშვილი მოიხსნას სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობიდან სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სუსტად დაყენებისათვის და დატოვებულ იქნას ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად; მიეცეს მას მითითება ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების საქმეში დაუშვებელი გულგრილობის გამოჩენისათვის, რის შედეგადაც მის მოსწავლეებს, განსაკუთრებით XI კლასში, დაბალი მომზადება აქვთ და დაევალოს მას საკირო ღონისძიებანი გაატაროს, რათა გამოასწოროს ჩამორჩენა.

2. კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორს მ. გაფრინდაშვილს—მიეცეს მითითება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენებისათვის.

3. კაკაბეთის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს ქ. ექვთიმიშვილს (იგივე სასწავლო ნაწილის გამგე) მოს-

წავლეთა დაბალი მომზადებისათვის, დედაენასა და ლიტერატურაში—მიეთითოს.

4. კაპრეთის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ბეზარაშვილი—გათავისუფლდეს თანამდებობიდან მოსწავლეთა ცუდი მომზადებისათვის, რაც იმის შედეგია, რომ ბეზარაშვილი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ მუშაობს თავისთავზე, ვერ ფლობს სწავლების მეთოდებს, თვითონ უშვებს უხეშ შეცდომებს და ვერ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს.

5. ყანდაურის რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწ. ზ. შენგელიძე გათავისუფლდეს გერმანული ენის მასწავლებლობიდან, რადგან მან თვითონ არ იცის გერმანული ენა და მოსწავლეები საცხებიტ მოუმზადებელია ამ საგანში.

6. ყანდაურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს ვ. თვალავაძეს სპეციალობით ისტორიკოსს, ჩამოერთვას მათემატიკის გაკვეთილები, რადგან მას საამისო ცოდნა არა აქვს.

7. კაკაბეთის საშუალო სკოლის III კლასის რუსული ენის მასწ. ა. გოგინაშვილს და კაკაბეთის საშუალო სკოლის IV კლასის მასწ. ვარდიაშვილს ჩამოერთვას რუსული ენის გაკვეთილები, რადგან მათ სუსტად იციან რუსული ენა, ვერ ახერხებენ მოსწავლეების მიერ ზეპირი და წერიტი მეტყველების დროს დაშვებული შეცდომების გასწორებას და მოსწავლეებიც სუსტად არიან მომზადებული რუსულ ენაში.

8. კაკაბეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწ. მ. ბურჭულაძე იმის გამო, რომ IX—XI კლასების მოსწავლეთა ცოდნა ამ საგანში ძალზე დაბალია, განთავისუფლდეს ამ კლასებში ისტორიის მასწავლებლობისაგან რვაწლიანი სკოლის კლასებში ისტორიის მასწავლებლად დატოვებით.

9. კაპრეთის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს თ. ლაზაშვილს მიეთითოს წერიტი მუშაობისადმი უყურადღებობისა და ნაწერების ზერელედ გასწორებისათვის.

10. ყანდაურის 8-წლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ლ. გულიაშვილს მიეთითოს გეოგრაფიის სწავლების სუსტად დაყენებისათვის, რის შედეგად მოსწავლეებს ამ საგანში ძალზე დაბალი ცოდნა გააჩნათ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1949 წლის 17 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ბ რ ძ ა ნ ე მ ბ ა № 4152

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 19 დეკემბერი

**აჭარის ასსრ ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების
შედეგების შესახებ**

გავეცანი რა აჭარის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლის მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს აჭარის ასსრ სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში მოპოებული აქვთ თვალსაჩინო წარმატებები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მშრომელთა ფართო მონაწილეობისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობის შედეგად რესპუბლიკის სკოლები მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. ამ მხრივ გამოირჩევიან ქალაქი ბათუმი და ხულოს რაიონი. ხულოს რაიონში მშრომელთა ინიციატივითა და მონაწილეობით აგებული იქნა 3 საშუალო, 3 რვაწლიანი და 14 დაწყებითი სკოლის ახალი შენობა. ამავე რაიონში აიგო 15 საცხოვრებელი ბინა მასწავლებლებისათვის. ბათუმის, ქობულეთისა და ქედას რაიონებში აგებული იქნა 10 სასკოლო შენობა დაწყებით სკოლებისათვის. ქ. ბათუმის წარმოება-დაწესებულებების ინიციატავით ჩატარდა სკოლების რემონტი.

გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლებიდან ჩამოშორება. ამ დარგში საფუძვლიანი ღონისძიებაა გატარებული ხულოსა და ბათუმის რაიონში.

რესპუბლიკის სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია კვალიფიციური მასწავლებლებით. მიმდინარე სასწავლო წელს აჭარის სკოლებს შეემატა 200 უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული მასწავლებელი. ამჟამად მომუშავე 2562 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლების მქონეა 613.



რესპუბლიკის ბევრ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას სასწავლო-სააღმწერდლო მუშაობა, დისციპლინა-წესრიგი. მასწავლებელთა დიდი ნაწილი მონდომებით მუშაობს, გულდასმით ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებასა და სისტემატურად ატარებს წერიითი სავარჯიშოებს, რის შედეგად რიგ სკოლებში მოსწავლეებს აქვთ მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა.

ქედის რაიონის ვაიოს რვაწლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება კარგად არის დაყენებული (მასწავლებელი სანოძე, იგივე სკოლის დირექტორი). ამ სკოლის VI, VII კლასების მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული გავლილ მასალას. VI კლასში ქართული ენის გრამატიკის სწავლება მკიდროდ არის დაკავშირებული ლიტერატურულ მასალასთან. მოსწავლეებს საფუძვლიანად ესმით რთული წინადადებების არსი და ლიტერატურული მასალის გამოყენებით სწორ და ზუსტ განმარტებას იძლევიან. მოსწავლეებმა იციან ენობრივი კატეგორიების ფორმალური ნიშნები და მათ მართებულად იყენებენ სწორი მეტყველებისათვის. ამავე სკოლის VIII კლასში მასწავლებელმა სანოძემ მიმზიდველად და საინტერესოდ გადასცა ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „სახრჩობელაზე“ შინაარსი და მოსწავლეებისათვის სავსებით ნათელი გახდა ამ მოთხრობის იდეური მხარე. მასწავლებელი სანოძე მაღალხარისხოვნად ატარებს წერიითი მუშაობას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. განათლების სამინისტროს მითითების შესაბამისად, მას შესრულებული აქვს წერის ნორმები. შესრულებული ნამუშევრები დროულად და გულდასმით აქვს გასწორებული და წერაში დაშვებული შეცდომების გარშემო ამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას.

ასევე კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ნადია მაჭუტაძე (ქ. ბათუმის ქალთა II საშუალო სკოლა), ეკატერინე ჩაჩუა (სოფ. ქობულეთის სკოლა) და სხვა.

კარგად არის დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება ბათუმის ქალთა I და II და ბათუმის ვაჟთა I საშუალო სკოლებში ამ სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: აზნაურიანი, მ. კანტურია, ს. ხუჭუა, ტუხოვა, მეღუა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებში გამომეტყველებითი კითხვის ჩვევების გამომუშავებას: ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, სიტყვების სწორად გამოთქმას, ტექსტზე დამოუკიდებელ მუშაობას, ნაწარმოების დამთავრებულ ნაწილებად

დაყოფას, მათ დასათავურებას და სათანადო გეგმის შედგენის ცოდნა-ჩვევების გამომუშავებას და ნაწარმოების შინაარსის აზრიანად, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას.

ბათუმის ვაჟთა I საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა (მასწ. მელუა) საფუძვლიანად იციან გავლილი მასალა, შეუცდომლად საუბრობენ რუსულ ენაზე, წერენ შეუცდომლად და ლამაზი ხელით. ამავდროულად სკოლის XI კლასის მოსწავლეები (მასწ. ტუზოვა) საკმაოდ დაუფლებულნი არიან რუსულ ენას, ასევე საფუძვლიანი ცოდნა გააჩნიათ რუსულ ენასა და ლიტერატურაში ქალთა I საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს (მოსწ. აზნაურიანი). ამ კლასის მასწავლებელი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება წერიითი მუშაობის ჩატარებას, სექტემბერ-ოქტომბრის თვეში XI კლასში ჩატარებული აქვს 10 საეარჯიშო და საკონტროლო და 13 საშინაო წერა.

ასევე კარგად მუშაობენ ხულოს რაიონის დიდაქარის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი კრაფჩენკო, ხიხაძირის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვოლკოვა, ლორჯომის საშუალო სკოლის მასწავლებელი ჯიბუტი, ქედას რაიონის ვაიოს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ჩიქვაიძე, მახუნცეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი კუდრიაშოვა. ბათუმის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებლები მახარაძე და ზვამბაია, ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ხახუტაშვილი და სხვ.

კარგად არის დაყენებული ისტორიის სწავლება ბათუმის ვაჟთა I (მასწავლებელი დარჩია), ქალთა პირველ (მასწავლებელი ლომთათიძე), ქობულეთის საშუალო (მასწავლებელი ჩაგუნავა) და ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის (მასწ. ინაშვილი) რვაწლიან სკოლებში.

თვალსაჩინო წარმატება არის მოპოებული მათემატიკის სწავლებაში.

ბათუმის ვაჟთა I საშუალო სკოლის (მასწ. თ. კვაჭაძე) VII და VIII კლასების მოსწავლეებმა საფუძვლიანად იციან ალგებრაში გავლილი მასალა. კარგად მუშაობენ აგრეთვე მათემატიკის შემდგომი მასწავლებლები: ი. კოსსი (ბათუმის ვაჟთა III საშუალო სკოლა), მ. ზაქარაძე (ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლა), ლ. გელაძე (ქედას რაიონის მახუნცეთის საშუალო სკოლა), ქ. ვსაძე (ბათუმის ქალთა II საშ. სკ.), ჩხოზაძე (ქობულეთის სა-

შუალო სკოლა), იმნაძე (ბათუმის რაიონის ანგისის რეაწლიანი სკოლა) და სხვ.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოებული ბიოლოგიის სწავლების საქმეში: კარგად აქვთ ბიოლოგიის სწავლება დაყენებული მასწავლებლებს: დარეჯან ლომთათიძეს (ბათუმის ქალთა I საშუალო სკოლა), ქეთევან ინწკირველს (ბათუმის ვაჟთა I საშუალო სკოლა), ვერა ტულუშის (ბათუმის ქალთა საშუალო II სკოლა), გალინა ტერ-ოგანოვას (ბათუმის რუსული ქალთა მე-7 სკოლა) და სხვ.

ეს მასწავლებლები სისტემატურად მუშაობენ თავისთავზე და ეუფლებიან მიჩურინული ბიოლოგიის საფუძვლებს. შესწავლილი აქვთ და მუშაობაში ხელმძღვანელობენ განათლების სამინისტროს მითითებებით, იცნობენ უახლოეს ლიტერატურას, გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, იყენებენ თვალსაჩინოებას: აქვთ ბიოლოგიის კაბინეტები, როგორც შექმნილი, ისე თვითნაკეთი ხელსაწყოები, ატარებენ ექსკურსიას და პროგრამით გათვალისწინებულ ცდებსა და დემონსტრაციებს. ბიოლოგიურ მასალას გაკვეთილზე მიჩურინული მოძღვრების თვალსაზრისით აშუქებენ და სწავლებას სოციალისტური სოფლის მეურნეობის ამოცანებს უკავშირებენ: აცნობენ მოსწავლეებს საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს და საბჭოთა მოწინავე მეცნიერთა როლს მის განვითარებაში. ასეთი მუშაობის შედეგად ამ სკოლების მოსწავლეებს საფუძვლიანად აქვთ შეთვისებული საპროგრამო მასალა ბიოლოგიაში.

მასწ. ტულუშის (ბათუმის ქალთა II საშუალო სკოლა) ნორჩნატურალისტთა წრის საშუალებით სკოლაში მოწყობილი აქვს მიჩურინელთა კუთხე. მას სკოლის ეზოდან გამოყოფილი პატარა ნაკვეთი მაქსიმალურად აქვს გამოყენებული.

რიგ სკოლაში ფიზიკის სწავლება სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული.

ქობულეთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ძაგნიძე სისტემატურად ზრუნავს ფიზიკის კაბინეტის შევსებაზე, მოწყობილი აქვს ლაბორატორული სამუშაოებისათვის ოთახი და პატარა სახელოსნო დაზიანებული ხელსაწყოების შესაკეთებლად. ამ სკოლაში არც ერთი გაკვეთილი არ ტარდება ცდებისა და დემონსტრაციების გარეშე. მასწავლებელი ძაგნიძე კარგად არის დაუფლებული, როგორც საგანს ისე საგნის სწავლების მეთოდებს. ამ სკოლის მოსწავლეებს კურსის ყველა საკითხი საფუძვლიანად აქვთ შეთვისებული. მოსწავლეებს დამზადებული აქვთ თვითნაკეთი ხელ-

საწყობები და იარაღები (ელექტრომოტორი, დინამომანქანა, რადიომიმღები, გალვანური ელემენტები, აკუმულატორები და სხვა) სკოლაში არსებული ყველა ხელსაწყო-იარაღი წესრიგშია განთავსებული და ჩატარებულია მათი ზუსტი აღრიცხვა. კარგად მოშობს აგრეთვე ბათუმის ვაჟთა I საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი გიორგი ჩიხლაძე და სხვა.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა ცალკეული დისციპლინების სწავლება აქარის ასსრ მთელ რიგ სკოლებში არადაამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ზოგ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება.

ხულოს რაიონის დანისპარეულის რვაწლიანი სკოლის I კლასის (მასწ. თ. წულაია) მოსწავლეებმა შესწავლილი ასოები არ იციან, ხოლო თხილვანის რვაწლიანი სკოლის II კლასის მოსწავლეებს (მასწ. ბ. ბუაძე) უძნელდებათ გავლილი მასალის წაკითხვა.

ხულოს რაიონის თხილვანის, ქედას რაიონის ვაიოს და I მაისის რვაწლიანი სკოლების I კლასებში (მასწ. ფ. თავდიშვილი, ნ. დავითაძე, ტ. ქედიძე) კითხვას ასწავლიან ჩათვლით, რის გამო ბავშვებს უძნელდებათ სიტყვების მთლიანად ამოკითხვა. თხილვანის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებს (მასწ. თ. ამალლობელი) არ აქვთ გამომუშავებული კითხვის ჩვევა. ბავშვებს უჭირთ ქართულ ენაზე ლაპარაკი, მათი სიტყვათა მარაგი იმდენად ღარიბია, რომ მთელი რივი მარტივი სიტყვების შინაარსი არ ესმით. მაგალითად, არ იციან რას ნიშნავს „წელიწადი“, „შემოდგომა“, „საბახლწო“, „სახალისო“ და სხვ. ამ კლასის მასწავლებელი თ. ამალლობელი საჭირო დროსა და ენერგიას არ ხარჯავს ბავშვებთან მოშაობისათვის, არ აწარმოებს ლექსიკურ ვარჯიშს, არ ამახვილებს ყურადღებას სიტყვების სწორად გამოთქმაზე, სათანადოდ არ უხსნის მოსწავლეებს ძნელად გასაგებ სიტყვებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს კითხვის ჩვევების გამომუშავებას.

ზოგ სკოლაში ქართული ენის გრამატიკა ისწავლება ზერეულედ, ზეპირად, ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით. ხულოს რაიონის დიდაქარის (მასწ. შ. წულუკიძე), დანისპარეულის (მასწ. ფ. ქიქავა), ქედას რაიონის პირველი მაისის (მასწ. გ. ტაბიძე) რვაწლიანი სკოლების მასწავლებლები ქართული ენის გრამატიკის წესებსა და ღებულებებს ასწავლიან ლიტერატურული მასალის გამოყენების გარეშე, რის გამო მოსწავლეები ამ წესებსა და ღებულებებს გაუაზრებლად იზეპირებენ. მოსწავლეები აგრეთვე მექანიკუ-

რად იხეპირებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მაგალითებს. აღნიშნული სკოლების V კლასებში მასწავლებლები ბგერების შესწავლას თვალსაჩინოების გარეშე ატარებენ. მოსწავლეები ამბობენ: „ნუნისმიერი, სასისმიერი, კბილისმიერი“, მაგრამ არა მით რა არის ნუნა, სასა, ან რატომ ეწოდება ეს სახელები. ასეთ შემთხვევაში მასწავლებლები არ იყენებენ სამეტყველო ორგანოების სურათებსა და ბგერათა არტიკულაციას.

ზოგიერთ სკოლაში ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა უმთავრესად ნაწარმოების შინაარსის გადმოცემით ამოიწურება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ნაწარმოების მხატვრულ და იდეურ ანალიზს. ხულოს რაიონის დანისპარეულის რვაწლიანი სკოლის მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი ფატი ქიქავა VI კლასში, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“-ს შესწავლისას დაკმაყოფილდა შინაარსის მშრალად გადმოცემით, რის გამო ამ ნაწარმოების იდეური მხარე მოსწავლეებისათვის გაუგებარი დარჩა. ამავე მასწავლებელმა V კლასში მასალა „ყაჩაღთან“ და „განაჩენი“ ისე მშრალად გადასცა, რომ მოსწავლეებს შესწავლილ მასალებიდან არაფერი განუცდიათ და არც ახალი რამ შეუძენიათ.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ლიტერატურული მასალის დამუშავებასთან ერთად არ აწარმოებს ლიტერატურის თეორიიდან საკითხების შესწავლას. მასწავლებლები ასეთი საკითხების შესწავლას აწარმოებენ მხოლოდ მეოთხედის ბოლოს და მხატვრულ ნაწარმოებთა მასალიდან მოწყვეტილად.

არ არის სათანადო სიმძლავრე დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ზოგიერთ არაქართულ სკოლაში, რის შედეგად მოსწავლეებს უძნელდებათ წერა და კითხვა, ვერ ახერხებენ მარტივი წინადადებებისა და სიტყვების გამოთქმას.

რიგ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა წერიითი მეტყველების კულტურის დანერგვას. ხულოს რაიონის დანისპარეულის რვაწლიანი სკოლის III კლასში (მასწავლებელი თამარ წულაია) ბგერ მოსწავლეს სუფთა წერის ჩვევა არ გააჩნია. მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სწორი ხელის გამომუშავებას მოსწავლეებში.

თხილვანის რვაწლიანი სკოლაში (მასწ. ფ. თავდიშვილი) წერა დადგენილი ნორმის მიხედვით არ ტარდება, VII კლასში 1-ლ ნომბრამდე 4 წერა იყო ჩატარებული. ამ სკოლის დაწყებით კლასებში წერას ყოველდღიური ხასიათი არ აქვს.

ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლაში 1-ლ ოქტომბრამდე წერა ქართულ ენასა და ლიტერატურაში არ ჩატარებულა.

ადგილი აქვს მოსწავლეთა წერიითი ნაშრომების ზერეულად გასწორების შემთხვევებს: თხილვანის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მასწავლებელი თამარ ამილახბელი მოსწავლეთა ნაწერებს გულდასმით არ ასწორებს: ამ კლასის მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრებში მრავალი შეცდომაა დაშვებული, ხოლო მასწავლებლის მიერ მხოლოდ 2-3 შეცდომაა გასწორებული, ნაშრომები კი ნიშანი „3-ზე“ არის შეფასებული. ბათუმის რაიონის ადლიისა და ქობულეთის ფიჭვნარის რვაწლიან სკოლების მასწავლებლები გაუსწორებლად ტოვებენ მორფოლოგიური ხასიათის შეცდომებს, თხილვანის რვაწლიანი სკოლის VII და VIII კლასის მოსწავლეებმა ზოგიერთი ასოს წერა არ იციან.

კუდად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა ხულოსა და ქედას რაიონების რიგ სკოლებში. ზოგჯერ საგანს ასწავლიან ისეთი მასწავლებლები, რომელნიც კარგად არ არიან დაუფლებულნი რუსულ ენას. ხულოს რაიონის ღორჯომის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს (მასწ. გვენცაძე) არ შეუძლიათ რამდენადმე მაინც სწორად და დალაგებულად მოჰყვენ ტექსტის შინაარსი, მოსწავლეები გავლილი მასალის შინაარსს ქართულად ჰყვებიან. ამ სკოლის IV კლასის მოსწავლეებს არ აქვთ ტექსტის კითხვის ჩვევა. არ ესმით წაკითხულის შინაარსი, ამბიხიჯებენ სიტყვებსა და ბგერებს. მსგავსი მდგომარეობაა დიოკნისისა და ხიხაძირის საშუალო სკოლებში (მასწავლებლები ესართია და მელია).

მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია ხულოს რაიონის დანისპარეულის (მასწ. ბალათურია) და ქედას რაიონის დოლოგნის (მასწ. ფალავა) რვაწლიან სკოლებში. დანისპარეულის რვაწლიანი სკოლის VII და VIII კლასების მოსწავლეებს არ შეუძლიათ პასუხის გაცემა ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: ვინ ხარ, რომელ კლასში და სკოლაში სწავლობ და სხვ. აღნიშნულ სკოლების მასწავლებლებს უწიგნურად აქვთ შედგენილი საგნის წლიური კალენდარი, გაკვეთილის გეგმები და საკლასო ჟურნალის ჩანაწერები.

სათანადო ყურადღება არ ექცევა რუსული ენის სწავლებას დაწყებით კლასებშიც. ხულოსა და ქედას რაიონების რიგ სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არ შეუძლიათ მისცენ მოსწავლეებს სწორი კითხვისა და გამოთქმის ჩვევები. ყურადღებას არ აქცევენ ორთოეპიას, მახვილს, ცალკეული სიტყვებისა და ბგერების სწორად გამოთქმას. სრულებით უგულებელყოფენ ე.წ. საუბრის გაკვეთილებს, რის გამო მოსწავლეთა ლექსიკონიღარიბია, ზეპირმეტყველება კი სრულიად განუვითარებელი.

ხულოს რაიონის თხილვანის რვაწლიანი სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა არ იციან (მასწ. ამილლობელი) ასოების წერა და კითხვა. მომზადების დაბალ დონეს ამჟღავნებენ ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლის IV (მასწ. მიქელაძე), დიდაჭარის რვაწლიანი სკოლის II (მასწ. ო. ფერაძე), დანისპარეულის რვაწლიანი სკოლის IV (მასწ. ბალათურია) და ქედის რაიონის ვაიოსა და პირველი მაისის რვაწლიანი სკოლების II—IV კლასების მოსწავლეები. შემოწმებულ სკოლებში დაბალია წერითი მეტყველების კულტურაც. წერითი მუშაობის ნორმები არც ერთ სკოლაში არ არის შესრულებული. მოსწავლეებს უჭირთ ცალკეული ასოების წერა. მასწავლებლები ნამუშევრებს დაუდევრად ასწორებენ. მრავლადაა გაპარული გაუსწორებელი შეცდომები, შეფასების ნიშნები არაობიექტურია. ასე, მაგალითად, ხულოს რაიონის ლორჯომის საშუალო სკოლის IX, X და XI კლასებში წერა მხოლოდ 3-3-ჯერ არის ჩატარებული და ისიც წიგნიდან გადმოწერით. ამავე სკოლის V კლასის მოსწავლეები ვერ არჩევენ პატარა და მთავრულ ასოებს, 29 მოსწავლიდან 21 აქვს ნიშანი 2. ამავე რაიონის დიოკნისის საშუალო სკოლის VIII კლასში მოსწავლეები საკუთარ სახელებს პატარა ასოთი წერენ. წერითი მუშაობის საქმეში სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს ხიხაძირის საშუალო სკოლის მასწავლებელი-მელია. VIII—XI კლასებში წერა მხოლოდ 2-3-ჯერ არის ჩატარებული, VIII კლასში ორი წერა წინანდელი ნამუშევრის გაუსწორებლად არის ჩატარებული. ამ სკოლის XI კლასის მოსწავლის ნ. ბერიძის 27/IX ნამუშევარში, რომელიც 4-ზეა შეფასებული, 10 ორთოგრაფიული და ერთი სინტაქსური ხასიათის შეცდომაა გაუსწორებელი. ხოლო ქედის რაიონის დოლოჯნის რვაწლიანი სკოლის მოსწავლის ბერძენიშვილის ნიშან „4“-ზე შეფასებულ ნამუშევარში 20—25 შეცდომაა გაუსწორებელი.

ზოგ სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის დონე ისტორიაში დაბალია: ძაგ. ქ. ბათუმის II ქალთა საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. გოგიტიძე) არ იციან რომელი ტომები ცხოვრობდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე. არ აქვთ წარმოდგენა პლებეებისა და პატრიციების ბრძოლაზე. ქ. ბათუმის პირველ ქალთა საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებს (მასწ. სვანიძე) სუსტი წარმოდგენა აქვთ პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებაზე, ეგვიპტის სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, მის კულტურაზე. ქ. ბათუმის ქალთა II საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ქართულ ტომთა წარმოშობის საკითხებში, ბუნდოვანი

წარმოდგენა აქვთ ძველ წყაროებზე და ცნობებზე საქართველოს შესახებ (მასწ. ხაჩიძე). არ იციან თუ როგორ მოხდა ბერძენთა მიერ შავი ზღვის სანაპიროების კოლონიზაცია.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას არითმეტიკის სწავლება დაწყებით კლასებში ხულოს რაიონის თხილვანის (მასწ. თ. ამალლობელი და მასწ. ლ. ბჟალავა), დანისპარეულის (მასწ. ს. ბალათურია) და ქედას რაიონის ვაიოს (მასწ. ხ. ჩხიკვაძე) რვაწლიან სკოლებში. ამ სკოლების III და IV კლასის მოსწავლეებმა არ იციან კომპონენტების დასახელება შეკრება-გამოკლების მოქმედებებში, მოქმედებათა შედეგების შემოწმება; IV კლასის მოსწავლეები ვერ ახერხებენ ისეთი რიცხვების გამრავლებას და გაყოფას, რომელთაც შუაში და ბოლოში ნულები აქვთ. არ იციან უცნობი კომპონენტების პოვნა მონაცემების საშუალებით. დანისპარეულის სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა არ იციან სიგრძის, წონისა და დროის ზომის ერთეულები.

კუდად ისწავლება გეომეტრია ბათუმის რაიონის ანგისის (მასწ. ვ. სტრაშილინა), ადლიის (მასწ. ხელაძე), ხულოს რაიონის თხილვანის (მასწ. ა. კაკაბაძე), დიდაქარის (მასწ. შ. ლომაძე), ქედას რაიონის პირველი მაისის (მასწ. ლ. გორგილაძე), ქობულეთის რაიონის ფიქვნარის (მასწ. ალ. სალუქვაძე) რვაწლიან სკოლებში. ამ სკოლების VII კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს წრეხაზი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, მედიანა და ბისექტრისა, არ იციან ვერტიკალური კუთხეებისა და ტოლფერდა სამკუთხედის თვისება და სხვ. ბათუმის რაიონის ანგისის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ვ. სტრაშილინა დამახინჯებულად ასწავლის გეომეტრიას, უშვებს უხეშ შეცდომებს მასალის გადაცემის დროს.

აღებრაში დაბალ ცოდნას ამქლავნებენ ხულოს რაიონის თხილვანის (მასწ. ა. კაკაბაძე), დანისპარეულის (მასწ. ლ. არახანია), ქედას რაიონის დოლოგნის (მასწ. ნ. გოფოძე), პირველი მაისის (მასწ. ლ. გორგილაძე) რვაწლიანი სკოლების VI—VII და VIII კლასების მოსწავლეები. ამ სკოლების VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ხარისხის, კოეფიციენტის და შეფარდებითი რიცხვების განმარტება. VII კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ გავლილ მასალიდან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შემოკლებითი გამრავლების ფორმულები. მრავალწევრების დაშლა თანამამრავლებად და სხვ. VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების ძირითადი თვისებები და სხვ. ასევე არადაამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქობულეთის რაიონის ჩაქვის,

ბათუმის რაიონის მახინჯაურის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები ნ. ლაჭონია და ქ. ჩხაიძე. დანისპარეულის და პირველი მაისის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებლები არახანია და ლ. გორგილაძე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათემატიკაში საკონტროლო წერიითი ნამუშევრების გასწორებას. მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებენ და ისეთ ნამუშევრებს აფასებენ „3“, „4“-ზე, რომლებიც შესრულებულია „2“-ზე.

ფიზიკის სწავლება ცუდად არის დაყენებული ხულოს რაიონის ხიხაძის (მასწ. პატარაია), ქედას რაიონის დოლოგნის (მასწ. გოფოძე), ბათუმის ქალთა I (მასწავლებლები—გურგენიძე, პაპუნაშვილი), ბათუმის რაიონის ჩაისუბნის (მასწ. ბალათური) და ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის (მასწ. ალ. სალუქვაძე) რვაწლიან და საშუალო სკოლებში. ამ სკოლების ფიზიკის მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებს ფიზიკის სწავლების შესახებ, არ მუშაობენ თავიანთ თავზე, საფუძვლიანად არ ემზადებიან გაკვეთილისათვის. ფიზიკას ასწავლიან ზეპირსიტყვიერად, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე. გაკვეთილებზე უშვებენ შეცდომებს ფიზიკის საკითხების გაშუქებაში და მცდარ განმარტებებს აძლევენ მოსწავლეებს, რის შედეგად მოსწავლეები ფიზიკაში დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ.

ხულოს რაიონის დიოკნისის და ღორჯომის საშუალო სკოლების IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან როგორ ძრავას ეწოდება თანაბარ სწორხაზობრივი და ვერ იძლევიან სიჩქარისა და აჩქარების განმარტებას. ამ კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ დასწერა თანაბარ სწორხაზობრივი ძრავის განტოლება, არ იციან რა არის ვექტორი და სხვა ძირითადი ცნებები მექანიკიდან. ამ სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან სითბური გაფართოების მოვლენები; არ აქვთ წარმოდგენა სითბოს გამტარობაზე. ძალზე დაბალია ღორჯომის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკაში.

ხიხაძის XI კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ დაასახელა ელექტროდენის წყარო. მათი აზრით ელექტროდენის წყაროს წარმოადგენს „ვოლტმეტრი“ და „ამპერმეტრი“. არ იციან „ომის კანონი“ და ვერ ადგენენ ელექტროწრედს. ქალ. ბათუმის ქალთა I საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები იძლევიან ზერელედ გაზეპირებულ პასუხებს, არ ესმით ფიზიკური არსი. ბათუმის რაიონის სოფ. ჩაისუბნის სკოლის XI კლასის მოსწავლეები

ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან „გალვანურ ელემენტებს“ და „აქუმულატორებს“, ამ კლასის მოსწავლეებს არ აქვთ წარმოდგენა ფიზიკურ ცდებზე და ლაბორატორიული სახის სამუშაოებზე; ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეებს არ აქვთ წარმოდგენა რა არის მენზურა, შიმში და რულეტი, მოსწავლეებთან არ არის ჩატარებული არც ერთი ცდა, როდესაც ამის შესაძლებლობა სკოლას გააჩნია. ჩაქვის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკაში ფორმალურ ხასიათს ატარებს. სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა არ იციან რა არის გრამოფონი, არ იციან, რომ ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ბგერის გავრცელების გარემოზე და ტემპერატურაზე.

ბევრ რვაწლიან და საშუალო სკოლებში არ არის სათანადო ზრუნვა ფიზიკის კაბინეტების მოვლა-დაცვისა და ახალი, საჭირო ხელსაწყო-იარაღების შეგვებისათვის. მაგალითად, ქობულეთის რაიონის ჩაქვის საშუალო სკოლაში (დირექტორი ჩხიკვიშვილი, იგივე ფიზიკის მასწავლებელი), ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები კარადების უქონლობის გამო უწესრიგოდ იატაკზე ჰყრია და ფუჭდება. იმავე რაიონის ფიჭვნარის რვაწლიან სკოლაში (მასწ. სალუქვაძე) ფიზიკის ხელსაწყოები დაზიანებული სკოლის საწყობში სამეურნეო იარაღებთან ერთად ეყარა. დიოკნისის საშუალო სკოლაში (დირექტორი გაბელაია) დირექტორმა და ფიზიკის მასწავლებელმა არ იცოდნენ ფიზიკის რა ხელსაწყო-იარაღები გააჩნია სკოლას. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ქედას რაიონის დოლოგნის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ჩხაიძე, ფიზიკის მასწ. გოფოძე). ქობულეთის, ხულოს, ქედას და სხვა რაიონების ზოგიერთ სკოლებში არ არის ჩატარებული ფიზიკის კაბინეტების აღწერა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული სააღრიცხვო-საინვენტარო ჟურნალის მიხედვით.

ზოგ სკოლაში არადადამაკმაყოფილებლად ისწავლება ბიოლოგია. ქობულეთის რაიონის სოფ. ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლის V, VI და VIII კლასების მოსწავლეები (მასწ. ა. ბასილაშვილი, იგივე სასწავლო ნაწილის გამგე) გავლილი მასალის უცოდინარობას იჩენენ. V კლასის მოსწავლეების დიდმა უმრავლესობამ არ იცის კარგი ხარისხის სათესლე მასალის ნიშანთვისებები, არ იციან თესლთა აგებულება. თესლისა და უჯრედის აგებულებას ერთმანეთში ურევენ, მცდარი წარმოდგენა აქვთ თესლის შედგენილობაზე. ამ სკოლას არ გააჩნია კაბინეტი და ხელსაწყოების მცირე რაოდენობაც

კი. არ ტარდება თვალსაჩინოება, დემონსტრაციები, ლაბორატორიული მუშაობანი, ექსკურსიები. სკოლის ნაკვეთი გამოუყენებელია საცდელი მუშაობისათვის.

ბიოლოგიაში გავლილი მასალის სუსტ ცოდნას ამტკიცებენ სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლის VI და VII კლასის მოსწავლეები (მასწ. ვაშაყმაძე).

ღარიბადაა მოწყობილი ჩაქვის საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი. არსებული ხელსაწყოები მოუვლელია. სკოლის ნაკვეთი არ არის სასწავლო მიზნით გამოყენებული.

არაცოცხალი ბუნების კურსიდან გავლილი მასალის უცოდინარობას ამტკიცებენ ქ. ბათუმის ვაჟთა I საშუალო სკოლის (მასწ. მელუა) და ქალთა II საშუალო სკოლის IV კლასების მოსწავლეები (მასწ. ჩხარტიშვილი).

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმიკა ღორჯომის საშუალო სკოლაში (მასწ. ალ. დუმბაძე). ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეები სრულ უცოდინარობას ამტკიცებენ ქიმიკაში. ასეთივე უცოდინარობა გამოამტკიცებს ქიმიკაში ხიხაძის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ხასან სირაბიძე). მასწავლებელი მთელ რიგ საკითხებზე მოსწავლეებს არასწორ განმარტებებს აძლევს, იგი ქიმიკას ასწავლის ყოველგვარი ცდებისა და თვალსაჩინოების გარეშე. დოლოგნის სკოლაში ქიმიკა ისწავლება ზეპირსიტყვიერად და მოსწავლეებს ამ საგანში ცოდნა არ გააჩნიათ.

იმის შედეგად, რომ ხულოსა და ქედას რაიონების სკოლები არ არის უზრუნველყოფილი სათანადო პედაგოგიური კადრებით უცხო ენაში, ამ საგნის სწავლება არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ზოგიერთ სკოლაში კი სრულიად ჩაშლილია.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ მომზადების დაბალ დონეს ამტკიცებს და ვერ უზრუნველყოფს სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის სათანადოდ წარმართვას.

ზოგ სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

სკოლის ასაკის 35,733 მოსწავლის ნაცვლად სწავლებაში ჩაბმულია 34,884 მოსწავლე, ჩაუბმელია და არ სწავლობს 207 მოსწავლე, არის შემთხვევები, როცა სკოლებიდან უმიზეზოდ გადიან მოსწავლეები. ხულოს რაიონის დიდაპარის რვაწლიან სკოლას მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში ჩამოშორდა 4 მოსწავლე, ქედას რაიონის ვაიოს რვაწლიან სკოლას — 2 მოსწავ-

ლე, დიოკნისის საშუალო სკოლას—3 მოსწავლე, ქ. ბათუმის ქალთა I საშუალო სკოლიდან გავიდა 10 მოსწავლე, ქალთა II საშუალო სკოლიდან—7 მოსწავლე, ვაჟთა I საშუალო სკოლიდან—6 მოსწავლე, ქობულეთის რაიონის ჩაქვის საშუალო სკოლიდან—4 მოსწავლე, სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლიდან—6 მოსწავლე. ხულოს და ქედას რაიონების სკოლების VII—VIII და ზედაკლასებში მოსწავლე ქალების რიცხვი ძალზე მცირეა: ხულოს რაიონში IX—XI კლასების 333 მოსწავლიდან 3 ქალია, ხოლო ქედას რაიონის 130 მოსწავლიდან—4 ქალი.

ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენების ხშირ შემთხვევებს: ხულოს რაიონის თხილვანის რვაწლიან სკოლაში 160 მოსწავლის მიერ არასაბატიო მიზეზის გამო 28 ოქტომბრამდე გაცდენილია 2232 გაკვეთილი. ამავე სკოლის VIII კლასში 9 მოსწავლის მიერ უმიზეზოდ გაცდენილია 312 გაკვეთილი, VI კლასში 16 მოსწავლის მიერ 428 გაკვეთილი, ასეთივე მდგომარეობაა ღორჯომისა და ხიხაძირის საშუალო სკოლებშიც.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის.

რიგ სკოლებში კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები ერთფეროვანია, ხშირად ერთი მეორის ასლს წარმოადგენს და არ გამოხატავს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსისა და ფორმების სხვადასხვაობას. ხიხაძირის საშუალო სკოლაში, I და IX კლასების ხელმძღვანელთა აღმზრდელობითი მუშაობის მეოთხედური გეგმები ერთნაირია. დიოკნისის საშუალო და ზოგიერთ სხვა სკოლაში კლასის ხელმძღვანელები არ ზრუნავენ, რომ მოსწავლეებში დანერგონ სასკოლო ქონებისა და პირადი ნივთებისადმი კულტურული დამოკიდებულების ჩვევები. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთა სახელმძღვანელოები მოუვლელია, დაჯღაბნილია ფერადი ფანქრებით, ბევრი მოსწავლის სახელმძღვანელოებიდან ამოხეული და ამოჭრილია სურათები, მოსწავლეები უსუფთაოდ დაიარებიან სკოლაში.

რიგ სკოლებში მოსწავლეთა შორის არ ტარდება საჯარო მოხსენებანი, პოლიტიკური ინფორმაციები, საუბრები, პოლიტიკურ საერთო საგანმანათლებლო და მეცნიერულ თემებზე. არ დგას სათანადო სიმაღლეზე კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია. სუსტად მუშაობენ მოსწავლეთა კომიტეტები. არ ჩანს დირექტორისა და მასწავლებლის დახმარება მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

ზოგიერთ სკოლაში გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი არაა შედგენილი სწორად; გაკვეთილების ცხრილში სამუშაო დღეები არ არის დატვირთული თანაბრად. ზოგჯერ ფიზკულტურას დატვირთვით აქვს პირველი და მეორე გაკვეთილები, ხოლო ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას, ფიზიკას მეხუთე და მეექვსე გაკვეთილები.

რიგ სკოლაში არ ხორციელდება კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებლის მუშაობაზე. დანისპარტეულის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ნ. ჯაყელს 27 ოქტომბრამდე მხოლოდ 3 გაკვეთილი აქვს მოსმენილი, სასწავლო ნაწილის გამგეს ლომაძეს კი ორი გაკვეთილი.

ღორჯომის საშუალო სკოლის დირექტორს ხიმშიაშვილს 20 ოქტომბრამდე მოუსმენია 11 გაკვეთილი, სასწავლო ნაწილის გამგეს მთავანაძეს—16. დიოკნისის საშუალო სკოლის დირექტორი გაბილაია დასწრებია სამ გაკვეთილს, სასწავლო ნაწილის გამგე ესართია დასწრებია 9 გაკვეთილს, გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მათი შენიშვნები და მითითებანი იმდენად ზერელე და უშინაარსოა, რომ მასწავლებლებს ვერ გაუწევს დახმარებას საგნის სწავლების გაუმჯობესების საქმეში. ამ სკოლებში არ არის დანერგული მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების პრაქტიკა. არ ტარდება ორგანიზებულად და შინაარსიანად საჩვენებელი გაკვეთილები. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე იშვიათად იხილება ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საკითხები.

აჭარის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლები მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო წიგნებითა და რვეულებით.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი ცალკეული საგნების სწავლების დაყენების საქმეში შედეგია იმისა, რომ რიგი სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ვერ ანხორციელებენ დახმარებას და კონტროლს ცალკეული მასწავლებლების მუშაობაზე. არ ეხმარებიან დამწყებ მასწავლებლებს და არ ლებულობენ დროულად ზომებს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლების საქმეში.

რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეები ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწივენ ცალკეულ სკოლების მუშაობას. არ ლებულობენ ზომებს მასწავლებელთა ხშირი ცვალე-

ბადობის ლიკვიდაციისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და სხვ.

აჭარის ასსრ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში ში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრის მიზნით

გვალეზ აჭარის ასსრ განათლების მინისტრს ამბ. ვ. ახვლედიანს.

1) უზრუნველყოს ამ ბრძანების განხილვა აჭარის ასსრ ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მასწავლებელთა საქალაქო და რაიონულ თათბირებზე და 1949-50 სასწავლო წლის სკოლების ამოცანების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის წერილის შესაბამისად (იხ. „გაზ. „სახალხო განათლების“ 25 აგვისტოს 1949 წ. №35) დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად.

2) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მუშაობაზე და საჭირო დახმარების აღმოჩენით მათი მთელი საქმიანობა წარმართოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დამტკიცებული დებულებებისა, ინსტრუქციებისა და მითითებების შესაბამისად. მიაღწიოს იმას, რომ რაიონების პედაგოგიური კაბინეტები ქმედით დახმარებას უწევდნენ სკოლებს, რომ სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილებოდეს ცალკეული საგნის სწავლების მდგომარეობისა და სწავლების გაუმჯობესების, წერიითი მუშაობის დაყენების, კლასის ხელმძღვანელის მუშაობისა, მეტოდური, აღმზრდელობითი და სხვა საკითხები; მუშავდებოდეს მეთოდურად და პედაგოგიურად გამართული ღონისძიებანი, რომლებიც ნამდვილად გაუწევს დახმარებას მასწავლებლებს საგნების სწავლების არსებითად გაუმჯობესების საქმეში.

3) აღმოფხვრილ იქნას სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაგებისადმი ზერელე და ფორმალური დამოკიდებულება; საშუალო გეგმები გადამუშავდეს იმგვარად, რომ ისინი რეალურად ასახავდეს სასკოლო ცხოვრების ყოველ უბანს და ეხმარებოდეს სკოლის მუშაკებს პრაქტიკული მუშაობის სწორად წარმართვის საქმეში. გეგმების შედგენისას იხელმძღვანელონ ამ საკითხზე არსებულ ინსტრუქციებით.

4) არსებითად გაუმჯობესდეს დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეთა მხრივ მასწავლებლებისათვის დახმარება, გაკვე-

თილებს შემოწმების ხარისხი და კონტროლი. დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგეები წინასწარ საფუძვლიანად ეცნობოდნენ მასწავლებლის წლიურ კალენდარულ გეგმებს, გაკვეთილის გეგმებს, გაკვეთილისათვის მომზადების ხარისხს, გადასაცემ მასალას, საგნის სწავლების ხერხებსა და მეთოდებს და გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გაკვეთილზე შენიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად მასწავლებლებს აძლევდნენ მეთოდურად გამართულ შენიშვნებსა და მითითებებს:

5) სასკოლო ორგანიზაციებს (მოსწავლეთა, კომკავშირი, პიონერთა ორგანიზაცია) უწევდნენ საჭირო დახმარებას მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად და მუშაობას წარმართავდნენ იმგვარად, რომ ისინი ნამდვილად ხელს უწყობდნენ სკოლის ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს შეგნებული დისციპლინის დანერგვისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების საქმეში.

6) განსაკუთრებული ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ დააყენოს ის მასწავლებლები, რომელთა პედაგოგიურ მუშაობაში შემოწმების პროცესში გამოძველებულია სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს მასწავლებლები არიან: თ. წულაია, ფ. ქიქვა (დანისპარეულის რვაწლიანი სკოლა), ბ. ბუაძე, ფ. თავდიშვილი, თ. ამაღლობელი (თხილვანის რვაწლიანი სკოლა), გ. ტაბიძე (პირველი მაისის რვაწლიანი სკოლა), ურუშაძე (დოლოგნის რვაწლიანი სკოლა), გოგიტიძე, ხაჩიძე (ქ. ბათუმის ქალთა II საშუალო სკოლა), სვანიძე (ქ. ბათუმის ქალთა I საშუალო სკოლა), სურგულაძე (ს. ჩაქვის საშუალო სკოლა), ჩხიკვაძე (ვაიოს რვაწლიანი სკოლა), ბჟალავა, კაკაბაძე (თხილვანის რვაწლიანი სკოლა), ლომიძე (დიდაჭარის რვაწლიანი სკოლა), გორგილაძე (პირველი მაისის რვაწლიანი სკოლა), არახანია (დანისპარეულის რვაწლიანი სკოლა), ნიჟარაძე (ლორჯომის საშუალო სკოლა), სალუქვაძე (ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლა), ჩხეიძე (მახინჯაურის საშუალო სკოლა), ლაქონია (ჩაქვის საშუალო სკოლა), პატარაია (ხიხაძირის საშუალო სკოლა), გურგენიძე, პაპუნაშვილი (ქ. ბათუმის ქალთა I საშუალო სკოლა), ჩხაბაძე (სოფ. ქობულეთის საშუალო სკოლა), დადიანი, მეჭვავიშვილი (სოფ. ქობულეთის საშუალო სკოლა), ფერაძე (დიდაჭარის რვაწლიანი სკოლა), ბასილაშვილი (ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლა), ვაშაყმაძე (სოფ. ქობულეთის საშუალო სკოლა), გიორგაძე, კაჭხიძე (ჩაქვის საშუალო სკოლა), დუმბაძე (ლორჯომის საშუალო სკოლა); მიაღწიოს იმას, რომ აღნიშნული მასწავლებლები სისტემატურად მუშაობდნენ თავისთავზე, საფუძვლიანად და მაღალ-

ზარისხოვნად ემზადებოდნენ ყოველი გაკვეთილისათვის, იყენებდნენ თვალსაჩინოებას სწავლებაში და უახლოეს დროში აღმოფხვრან საგნის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში განიხილოს მათი სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი.

7) დაბალი კვალიფიკაციისა და დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გაანთავისუფლოს სამუშაოდან: ხიხაძირისა და დიოკნისის საშუალო და დანისპარეულის რვაწლიანი სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მეღია, ესართია, ფალავა და ბალათურია.

8) განიხილოს რუსული ენის იმ მასწავლებელთა საკითხი, რომლებიც ენის არასაკმარის ცოდნის გამო ცუდად ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას და შესცვალოს ისინი ამ საგნის მცოდნე მასწავლებლებით.

9) მიიღოს ზომები უცხო ენათა შეუფერებელი მასწავლებლების დაუყოვნებლივ შესაცვლელად სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებით.

10) სისტემატურად აწარმოოს მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის საუკეთესო ნიმუშების განზოგადება, პედაგოგიური საბჭოს, საჩვენებელი გაკვეთილების, მასწავლებელთა თათბირების, კონფერენციების, მეთოდური გაერთიანებების და ადგილობრივი პრესისა და რადიოს საშუალებით. შექმნას გამოცდილ მასწავლებელთა აქტივი და გამოიყენოს ის მასწავლებელთა მუშაობის შესამოწმებლად და დასახმარებლად.

11) ძირითადად გარდაიქმნას პედაგოგიური კაბინეტების მუშაობა. მიღებული იქნას ზომები პედაგოგიურ კაბინეტებთან არსებული საგნობრივი სექციებისა და მეთოდგაერთიანებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად. საგნობრივი სექციების სხდომები იწვეოდეს თვეში ორჯერ მაინც და ამ მუშაობის უკეთ წარმართვისათვის ფართოდ იქნას გამოყენებული რაიონის მოწინავე და გამოცდილი მასწავლებლები.

12) სისტემატური მუშაობით უზრუნველჰყოს მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელება. აღმოფხვრას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ზეპირი და ფორმალური სწავლების პრაქტიკა. ამ საგნების პროგრამული მასალის სწავლებას საფუძვლად დაუდოს თვალსაჩინოება, ექსპერიმენტი, პრაქტიკული ვარჯიში, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს საქართველოს კ. პ. (ბ)

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და კერძოდ ამხანაჟ კ. ნ. ჩარკვიანის მითითება მოსწავლე ახალგაზრდობაში ტექნიკური პრობაგანდის გაშლისა და მათში ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლისადმი ინტერესის გაღვივების შესახებ.

13) 1950 წლის ბიუჯეტში საჭირო თანხის გათვალისწინებითა და ადგილობრივი სახსრების გამოყენებით უზრუნველჰყოს მომავალი სასწავლო წლისათვის აქარის ასსრ ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლა ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტებით.

14) 1950 წ. იანვარში ჩაატაროს საშუალო სკოლებში არსებული კაბინეტების მდგომარეობის შემოწმება. უზრუნველჰყოს კაბინეტების ხელსაწყო-იარაღების სრულ წესრიგში მოყვანა და სათანადო სასჯელი დაადოს იმ დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებსა და მასწავლებლებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების მოვლა, დაცვისა და გამოყენების საქმეს.

15) სათავეში ჩაუდგეს მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას სასკოლო ეშენებლობის საქმეში და მშრომელთა ფართო მონაწილეობას გაუწიოს დახმარება და ხელმძღვანელობა

16) მთავარ საბრძოლო ამოცანად დაისახოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარება ქალაქად საშუალო სკოლისა და სოფლად რვაწლიანი სკოლის ფარგლებში. უზრუნველჰყოს გასულ წელს ოთხკლასიანი მთავრებულთა V კლასებში მთლიანად ჩაბმა. დასახოს საჭირო ღონისძიებანი V, VI, VII და VIII კლასებში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინენტის წლის ბოლომდე მთლიანად შენარჩუნებისათვის.

17) მოაწყოს იანვრის თვეში რუსული ენის მასწავლებელთა კურსები იმ პირობა გადასამზადებლად, რომლებმაც დაამთავრეს რუსული საშუალო სკოლები და გამოიყენოს ისინი დაწყებით კლასებში რუსული ენის მასწავლებლებად. აგრეთვე მოაწყოს ზაფხულის პერიოდში რუსული ენის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები 60 კაცისათვის.

18) აღკვეთოს მასწავლებელთა ხშირი ცვალებადობა და დასახოს საჭირო ღონისძიებანი სკოლებში მასწავლებლების ხანგრძლივად დასამაგრებლად.

19) აქარის ასსრ განათლების სამინისტრომ და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციამ დასახონ საჭირო ღონისძიე-

ბანი მასწავლებელთა კადრების მომზადების ხარისხის შემდგომ გასაუმჯობესებლად. ინსტიტუტის დირექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა საფუძვლიან მომზადებას როგორც ცალკეულ დისციპლინებში ისე მათი სწავლების მეთოდოლოგიაში.

20) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა აქარის ასსრ სკოლებში მეთოდისტიკების სისტემატური მივლინებით კონსულტაციების, სემინარებისა და საუბრების ჩატარებით მასწავლებლებს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება საგნების სწავლების სათანადო სიმალლეზე დაყენების საქმეში.

21) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ სისტემატური დახმარება გაუწიოს აქარის ასსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობისათვის საშენი მასალის გამოყოფით.

22) ვაგალებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდების განყოფილებას, დაახუსტოს აქარის ასსრ სკოლებისათვის დამატებით საჭირო სახელმძღვანელოების რაოდენობა და მიიღოს ზომები სახელმძღვანელოების დროულად დაგზავნის უზრუნველსაყოფად. მასვე ვაგალებ გამოჰყოს ერთი საბარგო მანქანა და გადასცეს ხულოს რაიონის განათლების განყოფილებას. 1950 წლის პირველ კვარტალში ასეთივე მანქანა გაითვალისწინოს აქარის ასსრ განათლების სამინისტროსათვის გადასაცემად.

23) მიღებულ იქნას ცნობად აქარის ასსრ განათლების სამინისტროს ამხ. ვ. ახვლედიანის განცხადება იმის შესახებ, რომ:

ა) სკოლებში ფიზიკის სწავლების არადაამაკმაყოფილებლად დაყენების, ფიზიკის კაბინეტების მოწყობილობისა და ხელსაწყობების მოუვლელობისათვის დადებული აქვთ სასჯელი ჩაისუბნის და ღორჯომის საშუალო და ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლების დირექტორებს ამხ. ამხ. ქიქავას, ხიმშიაშვილს და მგელაძეს. ქ. ბათუმის ქალთა I საშუალო სკოლის მასწავლებელ პაპუნაშვილს და ჩაისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელ ბალათურაძეს.

ბ) მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის მოხსნილია სამუშაოდან დანისპარეულის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე—ლომაძე.

გ) ჩამოყენებულია დაწყებით კლასებში მასწავლებლად ანგისის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი—სტრაშილინა.

24) განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკო-
ლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრუ-
ლების მიმდინარეობას და შედეგები მომახსენოს.

საქართველოს
სამთავროს

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1949 წლის 6 დეკემბრის დადგენი-
ლება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი 3. კუპრაძე

ბ რ ძ ა ნ ე ზ ბ ა № 107

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 18 იანვარი

ასპინძის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შე- სახეზ

გავეცანი რა ასპინძის რაიონის სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ზოგიერთი სკოლის მასწავლებლებს გააჩნიათ გარკვეული წარმატება. ასე, მაგალითად, კარგად მუშაობს იდუმალას რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. კეკელია, VII—VIII კლასის მოსწავლეებმა საფუძვლიანად იციან გავლილი მასალა როგორც ენაში, ისე ლიტერატურაში.

რუსული ენის სწავლებაში კარგ წარმატებებს აღწევს ასპინძის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ვინიკაია, სისტემატურად ემზადება გაკვეთილებისათვის, თანმიმდევრულად მუშაობს მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრებაზე და გულდასმით ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს. ასევე კარგად მუშაობენ ტამალის საშუალო სკოლის რუსული ენისა, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები რ. ივანოვა და ს. ფარმანიანი.

კარგად მუშაობს ასპინძის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ლ. ბარბაქაძე. მე-9 კლასის მოსწავლეები კარგად ფლობენ გავლილ მასალას და კარგად ერკვევიან რუკაზე.

კარგად არის დაყენებული ქიმიის სწავლება ტოლოშის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ტ. სარიშვილი), VIII კლასის მოსწავლეებმა იციან წყალბადისა და ჟანგბადის მიღება, პრაქტიკულად არიან გაცნობილი მათ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, სწორად ჩამოთვლიან ქიმიურ რეაქციათა ტიპებს; ნარევთა დილეგების უმარტივესი ხერხებიდან ლაბორატორიული მუშაობით

აქვთ შესწავლილი დალექვა, გახსნა, გაფილტრვა და ამოშრობა; შეგნებულად იციან ნივთიერებათა ხსნადობაზე ტემპერატურის გავლენა, ხსნადობის კოეფიციენტი და სხვ. XI კლასის მოსწავლეებს შეთვისებული აქვთ მთავარი საკითხები ორგანული ქიმიიდან. იციან ორგანულ ნაერთთა მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და თავდაცვის საქმეში, კარგად განმარტავენ ხელოვნური „სინთეზური“ კაუჩუკის მიღებას და აკადემიკოს ლებედევის როლს ამ საქმეში და სხვ.

ბოტანიკაში გავლილი მასალის ღრმა ცოდნას ამჟღავნებენ ოშორის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლენი (მასწ. ვ. კობახიძე). მასწავლებელი ფართოდ იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას.

მიუხედავად ამისა ასპინძის რაიონის შესწავლილ სკოლებს სასწავლო აღმზრდელით მუშაობაში ახასიათებს არსებითი ნაკლი.

ქართული ენა და ლიტერატურა მშრალად ისწავლება ოშორის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი თ. მაზნიაშვილი IX კლასში „ვეფხისტყაოსანს“ ზერეღედ უკითხავს, რის გამო მოსწავლეებმა არ იციან ამ ნაწარმოების ცალკე თავების შინაარსი და არც ადგილები ზეპირად. იღუმაღას რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი გვიანაშვილი არ არის დაუფლებული I კლასში დედანის სწავლების ხერხებსა და მეთოდებს; აღნიშნული კლასის მოსწავლეებს გავლილი მასალა გაზეპირებული აქვთ, ბევრი მათგანი ვერ კითხულობს, ან კითხულობს ასოების ჩათვლით. 18 მოსწავლიდან 6 მოსწავლემ არ იცის ზოგიერთი ასო; წერენ ცუდად, ზოგიერთი კი სრულიად ვერ წერს.

დაბალია ასპინძის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. თ. გვასალია), სუსტად იციან გავლილი მასალა. დავალება—ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გამეორება—შესრულებული ჰქონდათ ცუდად; არ იცოდნენ არც ერთი ადგილი ზეპირად პოემა „ბახტრიონიდან“ და სხვ. გრამატიკულ მასალიდან იმეორებენ „ზმნას“, ერთმა მოსწავლემ ზმნაში „ე-უკეთებ“ ვერ შესძლო პირველი პირის სუბიექტური ნიშნის გამოყოფა და მისი ადგილის ჩვენება. დაბალია აღნიშნული კლასის მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონეც; ჩვენს მიერ მიცემული დავალება, გარჩევა ი. გრიშაშვილის ლექსისა „მე შენზე ლექსი არ მომწყინდება“. რომელიც წინა გაკვეთილზე ზეპირად ჰქონდათ, 9 მოსწავლიდან მხოლოდ 2 მოსწავლემ შეასრულა დამაკმაყო-

ფილებლად, დანარჩენებმა გამოამჟღავნეს დაბალი წიგნიერება, ასევე არადამაკმაყოფილებელია ტოლოშის საშუალო სკოლის X—XI კლასის მოსწავლეთა მომზადების დონეც (მასწ. თ. ქველიძე, მოსწავლენი ზოგადად მსჯელობენ ზოგიერთ საკითხებზე და არ შეუძლიათ მხატვრული ნაწარმოების ამა თუ იმ ადგილით დაასაბუთონ თავისი აზრი. X კლასის ზოგ მოსწავლეს უჭირს ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერიის“ დასათაურებათა ჩამოთვლაც კი. ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვისას იფარგლებიან მისი ბიოგრაფიული ცნობებით. X კლასის 25 მოსწავლიდან ცუდად წერს 12 მოსწავლე, XI კლ. 33 მოსწავლიდან—12 მოსწავლე, VIII კლასის 10 მოსწავლიდან—5 მოსწავლე. სუსტად მუშაობს ამავე სკოლის V—VI კლასების მასწავლებელი აკ. ცხადაძე, გრამატიკული მასალის სწავლებას აწარმოებს სრულიად მოწყვეტილად ლიტერატურულ მასალიდან და არ უკავშირებს მას მართლწერის საკითხებს, რაც აშკარად ვლინდება მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში. მასწავლებელი წერით ნამუშევრებს ასწორებს ზერელედ, ნამუშევართა შეფასებაში იჩენს ლიბერალიზმს. ასევე არავლდასმით ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასპინძის საშუალო სკოლის VII კლასის მასწავლებელი ლ. გოგიაშვილი. არ იცავს წერითი მუშაობის სახეებს და მცირე მოთხოვნილებას უყენებს მოსწავლეებს ამავე სკოლის VI კლასის მასწავლებელი ლ. ლებანიძე, ხოლო IV კლასის მასწავლებელი ნ. ცინაძე არღვევს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების წესს, I მეოთხედში 5 მოსწავლე, რომელთაც საბოლოო ნიშნად უწერია წერაში „3“—სისტემატურად წერდნენ ნიშანზე „2“.

არ იცნობს სუფთა წერის დედანს და არ აწარმოებს სუფთა წერაში პროგრამის შესაბამის მუშაობას ტოლოშის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ნ. ნადირაძე.

ასპინძისა და ტოლოშის საშუალო სკოლის V—VII კლასის მასწავლებლებს წლიური კალენდარული გეგმა ქართულ ლიტერატურაში შედგენილი აქვთ პროგრამის განმარტებით ბარათში აღნიშნული შენიშვნების გაუთვალისწინებლად.

რუსული ენის სწავლება ცუდად არის დაყენებული ოშორის, ასპინძის, ტოლოშის საშუალო და იდუმალას რვაწლიან სკოლებში. აღნიშნული სკოლების რუსული ენის მასწავლებლები ატარებენ უხარისხო და მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს და სათანადო ცოდნას ვერ აძლევენ მოსწავლეებს. ღარიბია მოსწავლე-

თა ლექსიკური მარაგი, მეტყველება განუვითარებელი, II—IV კლასებში ყურადღება არ ექცევა სწორი კითხვისა და მართლმეტყველების ჩვევების გამომუშავებას, მარტივ საუბარსა და თხრობას. V—XI კლასებში ენა განყენებულად, მშრალად მსუბუქდება; სიტყვების სემანტიკურ მხარეს და ენაში სავარჯიშო მაგალითების აზრობრივ ანალიზს ყურადღება არ ექცევა.

სკოლებში არ არის შექმნილი საგნობრივი კომისია და მასწავლებლებს მეთოდური დახმარება არ ეწევა. იდუმალას რვაწლიანი სკოლის რუსული ენის წლიური კალენდარული გეგმები შეუმოწმებელია, რის გამო მთელ რიგ დამახინჯებებს აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, II კლასის მასწავლებელ შ. მელიქიძეს ლექსიკური განყოფილებისათვის, რომელზედაც პროგრამით 30—40 საათია განკუთვნილი, დაუთმია 12 საათი. გეგმა უწიგნურად არის შედგენილი („часть первая, I частов, миач, детски очки, часть четвортн“ და სხვ.), ასევე უწიგნურად აქვს შედგენილი გეგმა III კლასის მასწავლებელ ა. მელიქიძესაც („надо нам тепер учиться, семья“ და სხვ.).

რუსული ენის უცოდინარობას ამჟღავნებენ აგრეთვე ოშორის საშუალო სკოლის III—IV კლასის მასწავლებლები ა. ფანჩულიძე და გელოვანი. „Кто делает атец?“, „сегодня каком числе?“, „Отец наливает воду, в стакан“, „посуда“—ნიშნავს ქვაბს და „грофин“ „გრაფინსო“, ასე მეტყველებს მოსწავლეებთან მასწავლებელი ა. ფანჩულიძე, ხოლო მასწ. გელოვანს ბუნებრივად მიაჩნია, როდესაც მოსწავლეები წლის თვეებს შემდეგნაირად ჩამოთვლიან „ноембер, декембер, тебервал, маис“ და სხვ. ამავე სკოლის მასწ. გ. არაბიძე არასაკმაოდ მუშაობს მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებისათვის.

ასპინძის საშ. სკ. მასწავლებელი ეკ. ჩიხლაძე უპასუხისმგებლოდ ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, მის მუშაობაში ადგილი აქვს თვალისახვევის ცდებსაც (საკონტროლოდ აწერიანებს უკვე დაწერილ მასალას), მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნები გამოჰყავს არამართებულად, მაგ. VII კლ. მოსწავლე მ. რიჯამაძეს I მეოთხედში წერითი ნამუშევრები შესრულებული აქვს შემდეგ ნიშნებზე: „2“, „2“, „2“, „4“, „3“, „3“, „3“, „3“, „3“, „3“, საბოლოო ნიშნად კი უწერია „5“. მსგავს შემთხვევებს აქვს ადგილი სხვა კლასებშიც. არასწორად და დამახინჯებით ასწავლიან მოსწავლეებს ცალკე სიტყვებსა და წინადადებებს ამავე სკოლის III კლასის მასწავლებლები ალ. დავლიანიძე და ნ. ოსაძე.

ტოლოშის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. დავლაშერიძე არ არის დაუფლებული რუსულ ენას, იგი წინასწარი მომზადების გარეშე ატარებს მოსწავლეთა წერით სამუშაოებს, მათგანს წორებას უხარისხოდ ახდენს (ტოლებს 17 და მეტ გაუსწორებულ შეცდომას). რუსულ ენაში მომზადების დაბალ დონეს ამჟღავნებენ ამავე სკოლის V კლასისა (მასწ. ვლ. დავლაშერიძე) და VII—XI კლასის მოსწავლეებიც (მასწ. მ. კიკაჩიშვილი). ასევე სუსტად მუშაობენ იდუმალას რვაწლიანი და ტამალას საშუალო სკოლის მასწავლებლები გრ. გიგაშვილი და მ. კესოვა.

შემოწმებული სკოლების თითქმის ყველა XI კლასში დაბალია რუსულ ენაში მოსწავლეთა ცოდნის დონე. ოშორის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს არ შეუძლიათ გავლილი მასალის შინაარსის თხრობა და მარტივი წინადადების გარჩევა.

ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე ფიზიკის სწავლების საქმე. სკოლებში არ ექცევა ყურადღება ფიზიკის კაბინეტის მოწყობას, მის შევსებას და მოვლას. მასწავლებლები თვალსაჩინოების გარეშე ატარებენ ფიზიკის გაკვეთილებს, მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია, ფიზიკაში მიღებულ თეორიულ ცოდნას ვერ უკავშირებენ პრაქტიკულ საქმიანობას.

მაგალითად, ასპინძის საშუალო სკოლაში საკმაოდ მდიდარი ფიზიკის კაბინეტი სრულიად მოუვლელი აღმოჩნდა. ძვირფასი ხელსაწყოების დიდი ნაწილი, ქიმიისა და ბიოლოგიის ხელსაწყოებთან ერთად, სხვა სამეურნეო იარაღებში არეული, აღმოჩნდა სკოლის სარდაფში — უწესრიგოდ დაყრილი. ტოლოშის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი მთლიანად ვერ არის გამოყენებული.

მათემატიკის სწავლება ზოგ სკოლაში მინდობილი აქვს ცენტის არამქონე და არაკვალიფიციურ მასწავლებელს. განათლების განყოფილება ვერ უწევს მათ სათანადო მეთოდურ ხელმძღვანელობას და ამის შედეგად საგნის სწავლება დგას დაბალ დონეზე.

ტოლოშისა და ასპინძის საშუალო სკოლის V—VIII კლასების მასწავლებლების ბ. სესაძისა და თ. კვეტენაძის გაკვეთილები მეთოდურად გაუმართავია, ისინი ხშირ შემთხვევაში არასწორად აწვდიან მოსწავლეებს მასალას, მაგალითად, მასწ. მ. სესაძემ VI კლასში არასწორად ამოხსნა ამოცანები პროცენტულ გამოანგარიშებაზე. მასწავლებელი ძლიერ დაბალ მოთხოვნილებებს უყენებს მოსწავლეებს როგორც გაკვეთილზე, ისე საშინაო დავალების მიცემისა და საკონტროლო წერის დროს. მასწავლებელმა VII კლასში მრავალწევრების დაშლა შემდგენიარა აწარმოვა;

$$1) a^4 - 16c^2(c-a) = a^2 - 4c(c-a) = (a^2 - 4c^2 + 4ac)(a^2 + 4c^2 - 4ac) \neq \\ = (a-2c^2)(a^2 - 4c^2 + 4ac);$$

$$2) (a^3 - 27) = a^3 - 27(a-3)(a^2 - 3a - 9);$$

ასეთსავე მოუმზადებლობას იჩენენ ოშორის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლენიც. მასწავლებელი ვ. კოშორიძე გეომეტრიის სწავლებისას ლექციურ მეთოდს მიმართავს, რის გამო მოსწავლენი ვერ ახერხებენ განმარტონ მონაკვეთი, წრეხაზი, ქორდა, დიამეტრი და სხვ.

ასპინძისა და ტოლოშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები კ. ლოლაძე და დ. მეგრელიშვილი ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას; არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ იცავენ საკონტროლო წერის ნორმებს და არაგულდასმით ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, არ ცდილობენ მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მიზნებებისათვის. ტოლოშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ბინომის ფორმულის გაშლა, წარმოდგენა არ აქვთ კომპლექსური რიცხვებზე და არ იციან ოთხი მოქმედება წილადებზე. ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი ალგებრასა და ტრიგონომეტრიაში ოშორის საშუალო სკოლის XI კლასშიც (მასწ. ვ. კოშორიძე).

ქიმიის სწავლების საქმე დაბალ დონეზე დგას ასპინძის საშუალო სკოლაში (მასწ. ს. ტყემლაძე). საგნის სწავლება არ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. არ ტარდება სადემონსტრაციო ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები. X კლასის მოსწავლეებმა არ იციან ძირითადი საკითხები გავლილი მასალიდან; ვერ წერენ ქიმიურ რეაქციათა ტოლობებს; ნახშირმჟავას მარილებიდან ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან სარეცხსა და სასმელ სოდას; არ იციან აზოტმჟავის ლაბორატორიული ხერხით მიღება; ვერ წერენ ორთოფოსფორმჟავის კალციუმის მარილებს, ფოსფორის ხელოვნური სასუქების ქიმიურ ფორმულებს და სხვ. XI კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ბენზოლის ჰომელოგების ქიმიურ თვისებებში, ვერ წერენ გლუკოზის და ფრუქტოზის სტრუქტურულ ფორმულებს; ვერ იხსენებენ სპირტების მიღების ხერხებს და მათ გამოყენებას. არაორგანიული ქიმიიდან არა აქვთ წარმოდგენა დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის მთავარ საკითხებზე, არ იციან ჯგუფები, პერიოდები, ელემენტთა რიგობრივი ნომრები და მათი მნიშვნელობა, არა აქვთ გაგებული ატომთა აგებულება, იონთა მუხტების წარმოქმნის მიზეზები და სხვ.

ბიოლოგიის სწავლება არასათანადო სიმაღლეზეა დაყენებული იდუმალას რვაწლიანი სკოლის ზოგიერთ კლასებში; VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ე. ოსანაშვილი) არ იციან გავლილი მასალა ფარულტესლიანთა წარმოშობა. არ იცნობენ ცალკეულ ოჯახებს, რომლებიც შეადგენენ ფარულტესლიანთა ჯგუფს. არ იციან საპროფიტ და პარაზიტ ბაქტერიების მოქმედების შესახებ, არ იციან რა გამოყენება აქვს ობის სოკოს წამლეულ ნივთიერებათა მოსაპოებლად (პენიცილინი); არ იცნობენ სუბტროპიკულ მცენარეებს, მათ აგებულებას და ბიოლოგიურ თვისებებს. ვერ ასახელებენ ვარდისებრთა, მარცვლოვანთა და ჯვაროსანთა ოჯახების წარმომადგენლებს და ვერ იხილავენ მათი ყვავილის აგებულებას. მასწავლებელმა ახალი მასალა - ბოტანიკის დასკვნითი კურსი - ახსნა სამი წუთის განმავლობაში. არაფერი სთქვა დედამიწაზე მცენარეთა სამყაროს განვითარების, ველურ მცენარეთაგან კულტურული მცენარეების წარმოშობის, მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიის საფუძველზე სოციალისტურ სოფლის მეურნეობის პირობებში კულტურულ მცენარეთა გეგმაზომიერ გაუმჯობესების შესახებ და სხვ.

შეუსაბამობას აქვს ადგილი რიგ მასწავლებელთა წლიურ კალენდარულ გეგმაში. ოშორის საშ. სკოლის მასწ. კობახიძის მიერ VI კლასის გეგმაში სიკითხზე „ცხოველის ორგანიზმისა და მისი სასიცოცხლო პირობების ზოგადი გაცნობა“ შეტანილია 1 საათი, ნაცვლად 10 საათისა, საკითხზე „მოლუსკები“ გათვალისწინებულია 12 სათი, ნაცვლად 3 საათისა და სხვ.

გეოგრაფიის სწავლება ცუდად არის დაყენებული იდუმალას რვაწლიან სკოლაში (მასწ. ბ. რაზმაძე); VII კლასის მოსწავლეები არ არიან დაუფლებული რუკას, არ იციან გავლილი მასალა; ვერ ასახელებენ ნიადაგთა ტიპებს, საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეს და საბადოებს, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებს, ვერ არკვევენ სახმელეთო და საზღვაო საზღვრებს, კავკასიის გეოგრაფიულ მდებარეობას და სხვ. ვერც ერთი მოსწავლე ვერ თხრობს მინაცემ მასალას, „კახეთი“, ხოლო მასწავლებელი ახალ გაკვეთილს მაინც აძლევს და ხსნის ზერეღედ („ქართლ-კახეთის ზეგანი“), არაფერი აღუნიშნავს სამგორის მშენებლობაზე, უდაბნოზე, შირაქის ველზე, პატარა შირაქის ნავთობზე და სხვ. ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი V კლასშიც; მასწავლებელი გაკვეთილებისათვის არ ემზადება, არ იყენებს მართებულიად რუ-

კას, გეოგრაფიას ასწავლის ზეპირ-სიტყვიერად. საგნის წლიური კალენდარული გეგმაც შედგენილი აქვს არამართებულად.

რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმებული სკატლები: პედსაბჭოს მუშაობა; იშვიათად გამოაქვთ პედსაბჭოს სხდომებზე მსჯელობის საგნად ისეთი საკითხები, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის ამაღლებას, ზოგჯერ პედსაბჭოზე იხილავენ ისეთ საკითხებს, რომელიც არ არის მისი საგანი. ასე, მაგალითად, ოშოვის საშუალო სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე (ოქმი № 5), მოსმენილია „მოსწავლეთა კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის მოხსენება“ და მიღებულია დადგენილება: „დაევალოს კ. კ. კომიტეტის მდივანს ამხ. კახიძეს საწევრო გადასახადი დროულად აკრიფოს და შეიტანოს, დავალებები დროულად გაანაწილოს, უხელმძღვანელოს პიონერორგანიზაციას“ და სხვ. ტოლოშის საშუალო სკოლაში პედსაბჭოს სხდომები იშვიათად ტარდება, ცალკე საკითხებზე მიღებული ღონისძიებანი მეტად ზოგადია. მოსწავლეთა საშეძოდგომო გამოცდების შედეგების საკითხი პედსაბჭოზე გამოტანილია მოუხმადებლად.

პედსაბჭოს სხდომის ოქმების წიგნები არ არის გაფორმებული არსებული დებულების შესაბამისად.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში არ ექცევა სათანადო ყურადღება სასკოლო დოკუმენტების სწორად წარმოების საქმეს. ასპინძისა და ტამალის საშუალო სკოლაში სკოლის დღიურის შევსება არ ხდება სრულად და ყოველდღიურად. საკლასო ყურნალებში არ არის შეტანილი გაკვეთილზე დამუშავებული მასალა, გადასწორებულია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ნიშნები. მოუწესრიგებელია ტოლოშის საშუალო სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეები (არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა დაბადების მოწმობები, ჩაუწერელია პედაგოგიური დახასიათება, ზეგავლენის ღონისძიებანი და შეუვსებელია ცნობები მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ).

კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ფორმალურ ხასიათს ატარებს. ოშოვის საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელთა გეგმები სიტყვისიტყვივით გადაწერილია განათლების სამინისტროს ტიპური გეგმიდან. ასპინძის საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელის გეგმებში არ არის გათვალისწინებული ღონისძიებანი მოსწავლეთა აკადემიური ღონის ამაღლებისათვის. კლასის ხელმძღვანელები ხაკლებს მუშაობენ მოსწავლეთა შორის სანიტარულ-პი-

გიენური ჩვევების დანერგვისათვის, რის შედეგადაც მოსწავლე-ნი სკოლაში დადიან უსუფთაოდ.

არადამაკმაყოფილებელია ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა დემიური წარმატების დონე. მაგალითად I მეოთხედში ასპინძის საშუალო სკოლის IV კლასის 27 მოსწაველიდან აკად. ჩამორჩებო-და 12 მოსწავლე

IX კლასის 24 მოსწაველიდან აკად. ჩამორჩებოდა 11 მოსწავლე-

X კლასის 18 მოსწაველიდან აკად. ჩამორჩებოდა 7 მოსწავლე
ტოლოშის საშუალო სკოლის

IV კლასის 13 მოსწაველიდან აკად. ჩამორჩებოდა 7 მოსწავლე

V " 21 " " 9 "

X " 25 " " 12 "

მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმდინარე და მეოთ-ხედური აღრიცხვა არ ეფარდება ერთმანეთს. იღუმალას რვაწლია-ნი სკოლის V კლასის რამდენიმე მოსწავლეს I მეოთხედის შე-ფასებად ყველა საგანში აქვს „4“ და „5“, ხოლო მიმდინარე აღ-რიცხვით რიგ საგნებში არ არიან შეფასებული და ზოგ საგანში მიღებული აქვთ „2“-იც. ტამალის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ა. მარკოსიანს რუსულ ენაში ერთხელ აქვს მიღებული ნიშანი „1“ I მეოთხედის ნიშნად კი უწერია „4“, ფიზიკასა, ქი-მიასა, ასტრონომიასა და უცხო ენაში არც ერთხელ არ არის შემოწმებული და უწერია „5“.

ტოლოშის საშუალო სკოლის V კლ. მოსწ. თ. ნამორაძეს I მეოთხედის ნიშნებად ქართულ ენასა, არითმეტიკასა და ბუნე-ბისმეტყველებაში უწერია ნიშანი „2“, მიმდინარე აღრიცხვით კი შემოწმებული არ არის.

ზოგიერთ სკოლაში არ ხდება მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების ზუსტი აღრიცხვა, ზოგჯერ ადგილი აქვს მოსწავ-ლეთა სკოლიდან გაპარვის შემთხვევებსაც. მაგ. ასპინძის საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეთა მიერ I მეოთხედში გაცდენილი 630 გაკვეთილის მაგიერ კლასის ხელმძღვანელ შ. დავლიანიძის მიერ 282 გაკვეთილია აღნიშნული, IV კლასის ხელმძღვანელ ნ. ცინცაძის მიერ ნაცვლად 850 გაკვეთილისა—265 გაკვეთილი. ტოლოშის საშუალო სკოლის IX კლასის ხელმძღვანელ ლ. მეგრე-ლიშვილის მიერ 1700 გაცდენილი გაკვეთილის ნაცვლად სკოლის დირექციას 900 გაკვეთილის შესახებ მოხსენდა. XI კლასის ხელ-მძღვანელ მ. კიკაჩიშვილის მიერ 135 საათის ნაცვლად 35 საათი და სხვ.

ოზორისა და ასპინძის საშუალო სკოლაში ჩაშლილია მეთოდური მუშაობა, საგნობრივი მეთოდკომისიები არ მუშაობს.

სუსტია მასწავლებლების მუშაობაზე კონტროლი და მძღვანელობა, იღუმალას რვაწლიანი სკოლის დირექტორის ე. ოსანაშვილის მიერ ნახევარი წლის განმავლობაში მოსმენილია მხოლოდ 11 გაკვეთილი, ხოლო მათი ანალიზი და მითითებები სუსტია.

ტოლოშის საშუალო სკოლის დირექტორი კაკაჩიშვილი იშვიათად ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილზე. ნაკლებ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მასწავლებლებს. მოკლებულია მეთოდურ ხელმძღვანელობას ასპინძის საშუალო სკოლის მასწავლებლებიც.

სუსტია იღუმალას რვაწლიანი სკოლის მატერიალური ბაზა, სასკოლო შენობა, რომელიც ნ პატარა ოთახისაგან შედგება, უფარგისია (მიწური სახურავი, უსინათლობა და სხვ.). ტოლოშის საშუალო სკოლის შენობაში ორი ოთახი სასოფლო კლუბს უკავია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა და დაწყებითი სკოლის გამგებმა:

ა) ზუსტად გაატარონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი და უახლოეს დროში სკოლებში დააბრუნონ I—VIII კლასებიდან ჩამოშორებული მოსწავლეები.

ბ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, ფართოდ გაშალონ სკოლაში მეთოდური მუშაობა და პედსაბჭოს მუშაობას მისცენ სისტემატური და ქმედითი ხასიათი, საამისოდ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს დებულებით სკოლაში პედაგოგიურ საბჭოს და მეთოდური მუშაობის შესახებ.

გ) წესრიგში მოიყვანონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები და სასკოლო მიწის ნაკვეთი გამოიყენონ მართებულად.

დ) უზრუნველყოფონ სასწავლო წლის II ნახევრისათვის V—VII კლასების ქართული ლიტერატურის წლიური კალენდარული გეგმის გადამუშავება პროგრამის განმარტებითი ბარათის შესაბამისად.

2. ცალკე სასწავლო დისციპლინებში სუსტი მუშაობისა და მოსწავლეთა მოუძახდებლობისათვის, მიეთითოს: ასპინძის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს

თ. გვასალიას და დ. გოგიაშვილს, ტოლოშის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს თ. მარაქველიძეს, ტამალის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მ. კესოვას, იდუმალას რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს ე. ოსანაშვილს, ოზორის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ვ. კოშორიძეს, ასპინძის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს კ. ლოლაძეს, ტოლოშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს დ. მეგრელიშვილს.

3. ცალკე სასწავლო დისციპლინებში სუსტი მუშაობისა და მოსწავლეთა ძლიერი აკადემიური ჩამორჩენილობისათვის გამოცხადოს საყვედური: ოზორის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს თ. მაზნიაშვილს, ტოლოშის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს აკ. ცხადაძეს, ოზორის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გ. არაბიძეს, ასპინძის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ეკ. ჩიხლაძეს, იდუმალას რვაწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გრ. გიგაშვილს, ასპინძის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს თ. კვეტენაძეს, ოზორის რვაწლიანი სკოლის I კლასის მასწავლებელს გვიანაშვილს. სასწ. წლის დასასრულს შემოწმებულ იქნას აღნიშნული მასწავლებლების მუშაობა და შედეგების მიხედვით გადაწყდეს საკითხი მომავალ სასწავლო წელს მათი სკოლაში დატოვების შესახებ.

4. საგნის უცოდინარობისა, სუსტი მუშაობისა და მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისათვის მოიხსნას სამუშაოდან:

ტოლოშის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დ. დავლაშერიძე.

ოზორის საშუალო სკოლის IV კლასის რუსული ენის მასწავლებელი გელოვანი, იდუმალას რვაწლიანი სკოლის II კლასის რუსული ენის მასწავლებელი შ. მელიქიძე, იდუმალას რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ბ. რაზმაძე და ტოლოშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მ. სესაძე.

5. სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის მოიხსნას ოზორის საშუალო სკოლის დირექტორი თ. მაზნიაშვილი.



6. განათლების განყოფილების გამგემ აშხ. გიქაშვილმა:

ა) მომავალ სასწავლო წელს, სკოლების კადრებით დაკომ-
პლექტებისას, მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ დაწყე-
ბით კლასებში რუსული ენის სწავლება მიანდოს საგნის სკოლნე-
მასწავლებლებს;

ბ) უზრუნველჰყოს აღნიშნული ბრძანების განხილვა ყველა
საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლის პედსაბჭოს სხდო-
მაზე.

7. ეთხოვოს მშრომელთა დეპუტატების ასპინძის რაისაბჭოს
აღმასკომს გაანთავისუფლოს და გადასცეს სკოლის სარგებლო-
ბაში ტოლოშის საშუალო სკოლის შენობის ის ოთახები, რომლე-
ბიც გამოყენებულია სასოფლო კლუბად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1950 წლის 17 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **მ. კუპკაძე**

რედაქტორი **მ. ბუჩუქაძე**

პ/მგ. გამოშვებისათვის **ღაგ. ვიოკაძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/X-50 წ. ანაწყობის ზომა 6×10 ქალაქის ზომა
60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3 შეკვეთის № 1050. ტირაჟი 3.000
უე 06159.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტი“. თბილისი,
ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“, им. Л. П. Берия, Тбилиси,
ул. Ленина № 14.